სამშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 24 № 247 — ყოველდღიური გაზეთი
სამშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 24 №247
ფასი თბილისში და კოჯორიაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია [illegible] მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოს“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. [illegible] კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15--73**

## უკანასკნელი ცნობები

სომხები საქართველოში საიდუმლო მობილიზაციას ახდენდნენ და ჯარში გასაწვევ ახალგაზდებს სომხეთში ჰგზავნიდნენ.

სომხეთის რესპუბლიკის ქვეშევრდომნი ჯარში გასაწვევი ახალგაზდანი სამხედრო ტყვეებათ გამოაცხადეს.

ხელმძღვანელი დაშნაკელები დააპატიმრეს.

შულავერში სომეხთა მოქმედება აულაგმავთ.

კვირას ინგლის-საფრანგეთის მისია საქართველოს მთავრობას წარუდგა და სთხოვა სომხეთთან საქმე მშვიდობიანად მოაგვარონ. მთავრობამ ღირსეული პასუხი გასცა.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ აზერბეიჯანის პარლამენტისგან დეპეშა მიიღო.

სამშვიდობო კონფერენციას 15 იანვრისთვის მოიწვევენ.

კენისბერგის სახალხო მიტინგმა პროტესტი განაცხადა აღმოსავლეთ პრუსიის ლიტვასთან ან პოლონეთთან შეერთების ცდაზე.

---

მეუღლე, ვერა თავად ალექსანდრის ასული დადიანისა და ძმა ვლადიმერ ნესტორის ძე დადიანი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ სადახლოსთან ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა როტმისტრი პირველი ქართული ცხენოსანთა რაზმის

**თავად ანდრია ნესტორის ძე**

**დადიანი**

[illegible] 22-ს [illegible] თბილისის სადგურზე [illegible] 26 ქრისტეშობისთვეს. 2—1964—2

---

ღრმად დამწუხრებულნი [illegible] აუწყებენ [illegible]

**იოსებ (ჯოჯო) გიორგის ძე ბერიძის**

[illegible]
1973 1—1

---

[illegible]

**მიშა დავითიშვილი** დაიღუპა

[illegible] 24 ქრისტეშობისთვეს [illegible]
1—1972—1

---

[illegible]

**მიშა დავითიშვილი (დარბაისელი)**

[illegible] 24 ქრისტეშობისთვეს [illegible] წმ. ნინოს სასაფლაოზე.
(1—1970—1)

---

მიშა ხერხეულიძე, დედით, მეუღლით და დით, ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავისი ბიძის

**სანდრო მაისურაძის**

სომხებთან ბრძოლაში დაღუპვას. გამოსვენება დღეს (ნიკოლოზის ქ., № 85) დაკრძალვა „ძმათა სასაფლაოზე“ ნაძალადევში.

---

21 ქრისტეშობისთვეს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

**ბექან დავითის ძე წერეთელი**

რასაც აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მისი ნინა ალექსანდრეს ასული, შვილები ნიკო და თამარ, და ძმა არჩილ დავითის ძე წერეთლები. მიცვალებულს წაასვენებენ ქუთაისიდან საჩხერეში სამშაბათს 24 ქრისტეშობისთვეს. დასაფლავება ს. საჩხერეში ხუთშაბათს 26 ქრისტეშობისთვეს. (1—1971—1)

---

თბილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის საბჭო აცხადებს, რომ დღეს, 24 ქრისტეშობისთვეს საღამოს 5 საათზე თბილისისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის ბინაზე (ფრეილინის ქ. № 11) დანიშნულია

**კ რ ე ბ ა**

**თბილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა**

შესახებ საქართველო-სომხეთის ომისა. დასწრება სავალდებულოა

---

**საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირი**

აუწყობს მომქმედი ჯარისთვის

**შემხვევითა რაზმებს,**

**ლაზარეთებს და მასაზრდოებელ პუნქტებს**

და ამისათვის იწვევს სამსახურისთვის: ექიმებს, ფერშლებს, მოწყალების დებს და სანიტარებს.

განცხადებები მსურველებისაგან მიიღება ქალაქთა კავშირის სამკურნალო-სასანიტარო განყოფილებაში. პუშკინის ქუჩა № 3. განყოფილება ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. 2—1

---

**29 მარიამობისთვეს (ახ. სტ.)**

ბელორეჩინსკის 9 ვერსით მოშორებულ ფშეხოვსკაიას მახლობლად (ტუაპსე-არმავირის რაიონი) ბრძოლის დროს

**უკვალოდ დაიკარგა**

1-ლ ქართულ საარტილერიო ბრიგადის მე-6-ე ბატარეის კანონირი დავით არონის ძე ელიგულაშვილი.

ვინც მის შესახებ რაიმე სარწმუნო ცნობების მოწოდებას შესძლებს დაბეჯითებით ვთხოვთ

**ჯილდოს მიღებით**

შეგვატყობინოს გულდათუთქულ მშობლებს შემდეგის მისამართით: ქ. ქუთაისი მიხაილის ქ. საკუთ. სახლი არონ იაკობის ძე ელიგულაშვილს. (12—1956—7)

---

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

**თანახმად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებისა**

**დგება მოხალისეთა რაზმები**

**სადაც საქართველოს ყველა მოქალაქეს შეუძლიან ჩაწერა, მათ გარდა, რომლებიც ეხლა უკვე მსახურებენ საქართველოს ლაშქარში და გარდა ჯ.-კაცთა, რომლებიც მოწვეულნი არიან.**

მოწვეულ ჯარისკაცად ითვლებიან **1892, 1893, 1894, 1895, 1896, 1897** და **1898,** წლებში დაბადებული ახალგაზდები.

1. ყველა მოხალისეთ, რომლებიც მსახურებენ სხვა და სხვა დაწესებულებაში—ადგილები შეენახებათ. 2. სამხედრო მოქმედების გათავების შემდეგ თავისუფალნი იქნებიან. 3. უბედურ შემთხვევაში მათი ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან.

რაზმების შედგენა დავალებული აქვს გენ.-მაიორ მალალაშვილს, გენ.-მაიორ ფურცელაძეს; (გიორგი) პოლკოვნიკებს: კარგარეთელს, ბ. ინწკვირელს, დ ქარცივაძეს და ტ. ართმელაძეს.

**ჩაწერა შეიძლება ბარიათინის ქუჩაზე, სამხედრო სამინისტროში ყოველ დღე დილის 9 საათიდან 14 საათამდე და 16 საათ.—18 საათამდე.**

მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელი გენ.-მაიორი **მალალაშვილი.**

19 ქრისტეშობისთვე, ქ. თბილისი 5—3

---

**სახელმწიფო თეატრი**

**საოპერო დასი ევლახოვისა**

დღეს, 24 ქრისტეშობისთვეს, საბანეევას, სარაჯიშვილის და ვრონსკის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

**მარგალიტის მაძიებელნი**

**დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე. ✦ ადგილების ფასი ხელმისაწვდომია.**

ოთხშაბათს 25 ქრისტეშობისთვეს, ალეშკოს, ზალიპსკის, პოლიაევას მონაწილეობით **„ზაზა“.**

ხუთშაბათს, 26 ქრისტეშობისთვეს, საბანეევას, სარაჯიშვილის და ნიკოლსკის მონაწილეობით **„ლაკმე“.**

შაბათს, 28 ქრისტეშობისთვეს ი. ა. სამოსუდის ბენეფისი **„ჰოფმანის ზღაპრები“** მონაწილეობას მიიღებენ საბანეევა, შულგინა, შვამბერგი, ზალიპსკი და ნიკოლსკი.

---

**ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი**

# საქართველო

**მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის**

**ხელის მოწერის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . . . . . . | 150 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . . . . . . | 75 „ |
| სამი თვით . . . . . . . . . | 40 „ |
| ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) . . | 15 „ |

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა.

**ფოსტის ადრესი:** თბილისი, გაზ. საქართველოს კონტორა, ფოსტის ყუთი № 76.

**ტელეგრაფის ადრესი:** თბილისი „საქართველო“.

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. უქმე დღეებში 10—1 საათ.

—✦—

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს წლის ბოლომდე მიეცემა

**გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია**

**(კრებული წერილებისა)**

---

## სომხეთის როლი ✓

მსოფლიო ომმა დაბზარა დიდი რუსეთის ტერიტორია, რევოლუციამ გადაჰგავა იმპერიალისტური ზედნაშენი ამ ტერიტორიაზე და, როცა გაიბნა ამ ქარიშხალით დაყენებული კორიანტელი, ყველამ აშკარად დაინახა ბუნებრივი სახე ერთი დიდი ნაბზარის—კავკასიისა.

აღმოჩნდა, რომ კავკასია სრულებით ხელოვნურად ყოფილა მიბმული რუსეთზე, და მათ შორის არავითარი ორგანიული კავშირი, არავითარი ბუნებრივი და სულიერი დამოკიდებულება არ გაბმულა. დაწყდა თუ არა რუსეთის იმპერიალიზმის ქსელი, იგრძნო ყველამ თავისუფლების სიცოცხლის-მყოფელი სულისთქმა და უეცრად წამოიშალა საამური ჯეჯილი ეროვნული გამოღვიძებისა. კავკასიამ მიიღო თავისი ბუნებრივი სახე და წამოიწთო თავისი ეროვნული ფერადებით: საქართველო, ჩრდილო-კავკასია, ადერბეიჯანი და სომხეთი.

ჩრდილო-კავკასიასთან ჩვენ გვაქვს ზოგიერთი სადავო საკითხები. მისი წარმომადგენელი სტამბოლში ბ-ნი ბამმატოვი დიდის სიფიცხით ეპოტინებოდა აფხაზეთს და ამტკიცებდა, რომ აფხაზეთი დაღესტნის და ინგუშეთის გაგრძელებააო და უნდა ეკუთვნოდეს პოლიტიკურად ჩრდილო-კავკასიასო. რაც გინდ მოულოდნელი იყოს ამისთანა პრეტენზიები, მაინც იგი შესაძლებელია, რადგანაც დავა და უთანხმოება ჰხდება ხოლმე ხშირად არამც თუ ორი ერის შორის—ორ ღვიძლ ძმათა შორისაც კი. შესაძლებელია, იმიტომ, რომ უმთავრესი მიზანი და მისწრაფება ორივე ერისა—ქართველებისა და მთიელების ერთი და იგივეა: დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა. ეს გვაერთებს, ეს გვამხნევებს და შეძლებას გვაძლევს, გავიგოთ ერთმანეთი.

ასეთივე ყოფაშია ადერბეიჯანი. იმასთანაც გვაქვს ბევრი სადავო საკითხი. მაგრამ ეს სულ წვრილმანია იმ დიდ მისწრაფებასთან შედარებით, რომელიც ამოძრავებს და ასულდგმულებს მთელს ადერბეიჯანს: ეს გახლავთ ეროვნული თავისუფლება. აქაც მისი და ჩვენი მიზანი ერთი და იგივეა.

სულ სხვაა სომხეთი. ოქტომბრის დამლევს ერთმა ცნობილმა დიპლომატმა კონფიდენციალურად შემატყობინა, რომ სომხები საფრთხეს გიმზადებენ და შეიძლება თბილისი წაგართვანო. მე გამეცინა.—„ნუ იცინით, მართალს გეუბნებითო!“ მე მაშინვე რადიო გამოვუგზავნე ჩვენს მთავრობას და შევატყობინე ის ამბავი, თუმცა ვიცოდი, რომ ჩვენი მთავრობაც გაიცინებდა და დიდ ყურადღებას არ შიაქცევდა ასეთს რადიოს. მართლა, ვინ წარმოიდგენდა ასეთ უაზრო თავხედობას სომხებისაგან? მაგრამ სინამდვილემ ესეც დაამტკიცა: ხიდების აფეთქება, შეთქმულობის მოწყობა თბილისში და ბოლოს ომის გამოცხადებაც! განა ეს იმას არ ამტკიცებს, რომ სტამბოლელ დიპლომატის გაფრთხილება სრულიად უსაფუძვლო არ ყოფილა?

რა უნდათ მერე?! სომხებმა ძალიან კარგად იციან, რომ კავკასიელ ერთა განთავისუფლება და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობა ბოლოს უღებს მათს ბატონობას კავკასიაში. ამიტომ, თუმცა ბევრსა ჰყვიროდენ თავის სოციალისტურ და დემოკრატიულ მიმართულებაზე, მაგრამ ნამდვილად კი ეს მიმართულება სრულებით რეაქციული და ანტი-დემოკრატიულია. მათ თავდაპირველად არ უნდათ არავითარი თავისუფლება კავკასიის ერებისთვის. მათი გაზეთები ეხლახან პირდაპირ აცხადებდნენ, რომ სომხებს შექმნილ პირობებში არა სურთ სრულებით ეროვნული დამოუკიდებლობა და ბევრად უკეთესია, თუ რომელიმე ძლიერი სახელმწიფო მიიღებს თავის მფარველობის ქვეშ კავკასიის პატარა ერებსაო.

ბაქოში ბ-ნ სააკიანი გატაცებით ამტკიცებდა, რომ დიდი ბედნიერება იქნება ისევ დიდი რუსეთის აღდგენაო და სხვა. ამნაირი ქადაგება ყველგან არის, მუშაობა სწარმოებს საზღვარ გარედაც, დიპლომატიურ საშუალებით, ჰწარმოებს ომიც... ერთის სიტყვით, მთელი ეროვნული ენერგია სომხეთისა მიმართულია კავკასიის ერთა თავისუფლების წინააღმდეგ.

მართლაც საქართველოს დამარცხება ამ ომში არის დამარცხება თავისუფლების იდეისა. თუ ლორესა და ბამბაკში სომხები გაიმარჯვებენ, საფრთხეშია თბილისი, თუ თბილისი დაგვეკარგება, დამხობილია საქართველო, და თუ საქართველო დაემხო—შეიძლება არსებობდეს თავისუფალი ადერბეიჯანი ან ჩრდილო კავკასია?! სომხეთის სამხედრო ძალა რეალურად მიმართულია ყველა კავშირის ერთა წინააღმდეგ, თუმცა ფაქტიურად სცემს საქართველოს გულში, რადგანც კარგად იციან, რომ საქართველოს გული გულია მთელი თავისუფალი კავკასიისა.

მართალია, სომხებიც გვედავებიან ზოგიერთ საქართველოს ნაწილს ლორეს, ბამბაკს და ჯავახეთს, მაგრამ მხოლოდ საბაბია ან უბრალო საფეხური უფრო დიდი მიზნის მისაღწევად; ეს მიზანი პირდაპირ ეწინააღმდეგება ჩვენს მიზანს.

ჩვენ გვინდა პოლიტიკური თავისუფლება.

სომხებს—არა.

ჩვენ და ყველა კავკასიის ერებს უნდათ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

სომხებს—იმპერიალისტური რუსეთის აღდგენა.

ჩვენ გვინდა ჩვენის ძალღონით მოვიწყოთ და განვამტკიცოთ რესპუბლიკური წესწყობილება.

სომხებს—წაშლა და გაქარწყლება ამ მისწრაფებისა.

გასწიეთ წინ, გმირებო საქართველოისა! დაფრიწეთ თავისუფლების მტერი და თქვენს სახელს არასოდეს, არ დაივიწყებს ამაყი საქართველო და მადლიერი კავკასია.

გიორგი გვაზავა.

## ერე, გახლდეთ!

ჩვენი რკინის გზაზედ უხერხულ მოგზაურობას გიქარწყლებს მაღალი პატრიოტული აღგრძნება იმ ახალგაზდების, რომელნიც ბრძოლის ველზე მოისწრაფვენ, რომ დაიცვან საყვარელი სამშობლო, მისი მიწა-წყალი, მისი ტრადიციული ღირსება. მიდიხარ და. შენს მატარებელს ერთი-მეორეზე ხვდება საქართველოს ახალგაზრდული ჯანით და მისი მომავალი ენერგიით დატვირთული სამხედრო მატარებელი. უკუ-უთქმელი გარდაწყვეტილებით თავიანთ არწივისებურ თვალებში მოდის სიხარულით და მოიმღერის მრავალი ასობით ქართველი ახალგაზრდობა. იღვიძებს მრავალი ათასი წლის ნაცხოვრი ძალა ქართველი ერის. სამშობლო აღიმართა ქართველის გულში, როგორც უზენაესი ღირებულება, რომელსაც უნდა შეეწიროს, რაც ყველაზედ უძვირფასესია ამ ქვეყნად და საზომია ყოველთა საგანთა და მოვლენათა: **სიცოცხლე.** გზაზედ შემოხვდებიან ეს პირველი გმირები, ეს პირველი მსხვერპლები საქართველოს უკვდავების იდეისა და საქართველოს წარსულ და მომავალ თ[...]თა ყოვლად წმინდა და ძვირ[...] სამკვიდრებელისა. აი უმანკო ზვარაკები შენი დიდებისა და უჭკნობი ღირსებისათვის, ჩემო ძვირ ფასო სამშობლოვ! მიდიხარ მძიმე-მძიმედ მატარებლით და გესმის მათი: „გაუმარჯოს საქართველოს", „ჯერ და უწინარეს და უმაღლეს ყოვლისა სამშობლო!", და ძველებური „ან გამარჯვება, ან სიკვდილი!"... მიდიხარ სწორედ **ახალ საქართველოს** მიწა-წყალზე და სტკბები, რომ ქართველმა თავისი თავი მონახა, რომ საქართველომ თავისი პიროვნება იპოვნა. აწ არაფერი გვიშავს. მომავალი საიმედოა.

არ გინდა გზა გამოგელიოს... მაგრამ დანიშნულ სადგურზე ჩამოსასვლელი ვართ. გორში მივდივართ. ხალხთან გვინდა საუბარი, მდგომარეობისა და მომენტის ახსნა, მოვალეობის მოგონება სამშობლოს წინაშე... აჰა, გორიც. ისევ ის ამბავი, რაც რკინის გზის გაყოლებაზე... ორასამდე სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი ახალგაზდა დროშით ხელში ჩქარის ნაბიჯით ქუჩას-ქუჩაზე გადადის. ისეთივე მამაცური გარდაწყვეტილება თვალებში, ისეთივე შეგნება თავიანთის მოვალეობის, ისევ ის სიმღერა, ისევ ის ამოძახილები. მოქალაქეთა საჯარო კრებაზე ისეთივე სულიერი განწყობილება: ყველა აღგზნებული, ყველა შეგნებული, ყველა მზად, ვის რითაც შეუძლიან. ძველი ისტორიული სურათები: დედა ერთად-ერთს ჩვიდმეტ წლის ვაჟს ხალისით ამზადებს ომში გასასტუმრებლად. ცოტაა, რომ მოხუცი დედა თავის სიცოცხლეს არ დაზოგავს საქართველოს გამარჯვებისათვის, იგი არ ზოგავს თავისი შვილის სიცოცხლესაც! საქართველოს ძველს ისტორიას გვიფურცლავს კეთილი ძალა იდუმალი.

ვინ მოვიდა ამ ხალხთან, ვინ აუხსნა და შეათვისებინა მოვალეობა?! საიდან ასეთი ერთსულოვნება, საიდან ასეთი შეგნება და თავდადების სიყვარული?! ეს შეგნება გაშლილია საქართველოს ჰაერში და მის დედა-მიწის გულში: იქ, სადაც საქართველოს მილიონ თაობას სიცოცხლე უსუნთქვია და იქაც, სადაც ამ მილიონ თაობას სიცოცხლე და სამშობლოს თაყვანება თავის საუკუნო განსასვენებელში თავისთან ერთად დაუძრახავს. ამ შეგნებით, ამ სამშობლოს დიდებით და თავდებობის გრძნობით სუნთქავს ყველაფერი, რაც საქართველოშია: რაც მის მიწის ზედაპირზეა და აგრეთვე, რაც მის მიწის გულშია; რაც სულიერია და უსულო. ამას არ უნდა ხელოვნური რეცეპტი. ეს ბუნება იყო საქართველოსი. ამ ბუნებამ გამოიღვიძა და თავის საქმეს აკეთებს. სამშობლოს კულტმა და-ტრადიციამ დღეს მთელი საქართველო კიდით-კიდე მოიარა და მთელი ქართველობა ერთ სხეულად და ერთ გრძნობად შეადუღა და საქართველოს უკვდავების გმირებათ ძველი არწივების ბახლები გადმოაფრინა! და დღეს, აი ეს გადმოფრენილი ბახლები შემოგხვდებათ რკინის გზის გაყოლებაზეც, შემოგხვდებათ სოფლად, შემოგხვდებათ ქალაქათ, შემოგხვდებათ ყოველგან, მთელს საქართველოში,— ჩვენი სამშობლოს დამცველი ბახლები! გამარჯვება გიძღოდეთ წინ, სამშობლოს დამცველებო და ლოცვა და კურთხევა ერისა! თქვენ ხართ საქართველო და საქართველოც თქვენთანაა!

სპ. კედია.

## აჯანყებულების აყრა

კვირის მეთაურში ვსწერდით „არ კმარა სტრატეგიულ პუნქტებში ერთგული მოდარაჯე რაზმების ჩაყენება. თუ სადარაჯო პოსტების გარშემო სომხობის მჭიდრო მოსახლეობა დარჩა, სულ ერთია, ჩვენს ჯარისკაცებს ყელებს გამოსჭრიან პირველ მოხერხებულ შემთხვევაში". ბორჩალოელმა სომხებმა ჩქარა გაამართლეს ჩვენი უნდობლობა. გუშინ წინ ცნობა იყო, რომ შულავერელი სომხობა აჯანყდა. ეს აჯანყება ზურგიდან ემუქრებოდა სადახლოში მომქმედ ქართულ ჯარს. საბედნიეროდ მოღალატეების წინააღმდეგ მიღებულ იქმნა შესაფერი ზომები.

ჩვენ კიდევ მოვაგონებთ მთავრობას, რომ ყველაზე გავლენიანი და ჰუმანიური ზომა აჯანყებული ან ნაკლებ საიმედო მოსახლეობის აყრა და კონცენტრაციულ ბანაკში მოთავსებაა. თვით დახვრეტის შიში მოღალატეებს ისე არ დააფრთხობს, როგორც მიწის ჩამორთმევა. ომის გათავების შემდეგ კი ეს ხალხი შეიძლება არარატის რესპუბლიკას გადაეცეს. მით უმეტეს რომ, როგორც ყოფილი ერევნელი ელჩის ბ. ს. მდივნის მოხსენებიდან სჩანს, თვით კაჩაზნუნის მთავრობა დიდათ აფასებს საქართველოში მობინადრე სომხობას და მის დათმობას ითხოვს.

## მთავრობის ცნობა

იმის შემდეგ რაც სომხეთმა საქართველოს ომი გამოუცხადა მთავრობის ორგანოებმა შენიშნეს, რომ სომხები ყოველგან საიდუმლო მობილიზაციას ახდენდნენ, და როგორც თბილისიდან, ისე ყველა რაიონებიდან, სადაც კი სომხები მოსახლეობენ და რუსეთიდანაც აყარებელი ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა მიდიოდა სომხეთში. აშკარად გამოირკვა, რომ ჯარების მაგრებას ახდენდნენ საქართველოში სომხების ეროვნულ საბჭოს ბინაზე არამიანცის სახლში და სომხეთის დიპლომატიური მისიის ბინაზე. ჯარის მოკრეფას ხელმძღვანელობდნენ დაშნაკციუტუნის ცნობილი მოღვაწეები. მომხდარმა ჩხრეკამ ეს გარემოება დაამტკიცადა აღნიშნულ ბინებზე დაპატიმრებულ იქნა აფიცრები, სათადარიგო ჯარის კაცები და ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები რიცხვით 184 კაცი.

ამის გამო სომხეთის რესპუბლიკის ქვეშევრდომნი ჯარში გასაწვევი ახალგაზდანი გამოცხადებულ იქნენ სამხედრო ტყვეებათ და უნდა გაიგზავნონ ქუთაისში ხოლო დაშნაკცაკანების ხელმძღვანელნი რომელნიც აგროვებდენ ჯარს დაპატიმრებულ იქნენ საერთო წესით.

ეს დადგენილება უკვე სისრულეში მოჰყავთ.

## ქრონიკა

დღეს 24 დეკემბერს სამმო სასაფლაოზე (ხუდადოვის ბაღი) დაასაფლავებენ 19 დეკემბერს ბრძოლის ველზე გმირულად მოკლულ გვარდიელებს ა. მაისურაძის, დ. გოდერძიშვილის და სხვებს, რიცხვით 32 კაცს. მოკლულთა გვამებს გამოასვენებენ რკინის გზის საავადმყოფოდან დღის 12 საათზე.

ხუთშაბათს 26 ქრისტეშობისთვეს საღამოს 7 საათზედ შესდგება კრება ჰიდროტეხნიკური სექციის ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებისა ფრეილის ქუჩა № 11.

**წერილები უკრაინიდან.** გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელარიამ უკრაინიდან კერძო პირთა წერილები მიიღო. კუთვნილების სია გამოკრულ იქნება გარეშე საქმეთა სამინისტროში. წერილების მიღება შეიძლება კანცელარიაში მიქელაძის ასულთან.

**სომეხ ლტოლვილთა გაგზავნა** საქართველოს მთავრობამ დაადგინა სომხის ლტოლვილები, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან გაგზავნოს სამშობლოში ფოილო-ალსტაფაყაზახ-დილიჟანის გზით, (ადერბეიჟანით).

**საჭიროა ორასამდე** სანიტარი სასურველია გამოცხადნენ ინტელიგენტი ძალები. ჩაწერა და პირობების გაგება შეიძლება ქსენიევის ქუჩა № 10 სამოქალაქო სასანიტარო განყოფილებაში და როზენოვის ქუჩაზე სამხედრო სასანიტარო განყოფილების უფროსთან.

**მკითხველთა საყურადღებოდ** ანჩხატის ქუჩაზე № 20. (სახლი მოლოდინაშვილისა) სცხოვრობს ავადმყოფ შვილით ყოვლად გაჭირებული ქვრივი ნინო ივანეშვილისა. მივაქცევთ მკითხველთა ყურადღებას მის აუტანელ გაჭირვებისკენ. ყოველგვარი შეწირულება მიიღება „საქართველოს" რედაქციაში.

**მომრიგებელ კომისიაში.** მომრიგებელ კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა ასოთ-ამწყობთ ჯამაგირები მოუმატონ. ვინც 400 მანეთამდე იღებს უნდა მოუმატონ 30 პროც. ვინც 400 მან. მეტს იღებს—180 მანეთი.

**დაპატიმრება.** გუშინ დილის 9 საათზე ქალაქის საბჭოს წევრები გ. ი. ხატისოვი და აბეგიანცი დააპატიმრეს.

**სტუდენტების კრება.** სამშაბათს 24 ქრისტეშობისთვეს საღამოს სრულ 3 ნახ. საათზე უნივერსიტეტის შენობაში გოლოვინის პრ. № 10 ფიზიკურ განყოფილებაში დანიშნულია ამიერკასიის კერძო უნივერსიტერის ქართველ სტუდენტების კრება. მომენტზე სასწრაფო კითხვების გასარჩევად.

**თვითმკვლელობა.** შაბათს, 21 ქრისტეშობისთვეს კავკასიის ბანკის ბინაზე, ბანკის მოსამსახურე ფ. პ. საგაევიანცმა რევოლვერით თავი მოიკლა.

**ძარცვა.** 20 ქრისტეშ. ღამე, ა. ვარაბიეშვილის ბინიდან ცაგერის ქუჩაზე, შევიდა რამდენიმე შეიარაღებული პირი და 27,000 მანეთის სხ. და სხვა ნივთები წაიღეს.

**დაპატიმრება.** თბილისის მილიციის უფროსის განკარგულებით დააპატიმრეს 2 კვირით ო. ა. გეურქოვი, როგორც საზოგადოებისათვის მავნე პირი.

**სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, 24 ქრისტ., საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) ექ. ტურიაშვილი „ჰიგიენა". 2) ექ. მაისურაძისა ანატომია.

**ქართ. ტეხ. საზ. კრება.** დღეს, სად. 6 საათ. ფრეილინის ქუჩა, № 11, შესდგება საზოგადო კრება. განსახილველია საყურადღებო საკითხები.

— ოთხშაბათს, საღ. 7 საათ., ფრეილინის ქ., № 11, ინჟ. კირკისალოვი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ელექტრონული რკინის გზები საქართველოს რკინის გზების ელექტროფიკაციასთან დამოკიდებულებაში".

## ომის მიზნები

ფსიხოლოგიურათ ფრიად საინტერესო მოვლენაა ჩვენსა და სომხეთ შორის ატეხილი ომი.

ქართველობამ იმავე ბორჩალოში რამოდენჯერმე გადაარჩინა სომხობა სრულ გაჟლეტისაგან სომეხ-თათართა შეტაკებების დროს; ქართველობამ გადაარჩინა ბაქოს დიდძალი სომხობა სიკვდილს სამიოდე თვის წინად მომხდარ ჟლეტის დროს; ქართველობამ დაიცვა სომხობა თათრების უკანასკნელ ლაშქრობისას; ქართველობამ შეიფარა სომხების ლტოლვილნი ისე, როგორც არ უქნია ეს არც ერთ სხვა ხალხს მთელს დედამიწის ზურგზე; ქართველობა დაეხმარა სომხებს შეიარაღებაში, როდესაც აქედან, ჩვენი დედაქალაქიდან არარატის რესპუბლიკას სამხედრო მასალები გავუზიარეთ; ქართველობა ეხმარებოდა სომხეთს საზღვარ-გარეთ, უცხო სახელმწიფოთ რომ ეცნოთ იგი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ; და სულ ორიოდე კვირის წინ, როცა ოსმალეთის ეშელონებმა მოინდომეს სანაინთან ჩვენდა სამტროთ დაბანაკებულ სომხის ჯარის გასრესა, ქართველობამ დაიხსნა უკანასკნელი გენერ. მდივნის შუამდგომლობითა და პირადი ჩარევით.

ჩვენი მათდამი კეთილგანწყობილების ამდენი ფაქტების მიუხედავათ რომ ჩვენს შორის დღეს მაინც ომია, მრავალ მეტყველი გარემოებაა. ამიერ-კავკასიის ერთა შორის საქართველომ თუმც პირველათ გამოაცხადა თავისი თავი დამოუკიდებლათ, და ამით დამოუკიდებლობის იდეას ერთგვარი პროპაგანდაც გაუკეთა მთელს ამიერ-კავკასიაში, მაგრამ ქართველობას სიამოვნებით მიყვა ადერბეიჯანი და ჩრდილო კავკასიაც. მათ დაიარსეს თავიანთი სახელმწიფოები იმ იმედით, რომ საბოლოოთ შეინარჩუნებდნენ. ამისათვის მათ ტერიტორიაც აქვთ და სათანადო მჭიდრო კომპაქტური ეროვნული მოსახლეობაც. ყოველ შემთხვევაში, ვერც ადერბეიჯანი და ვერც მთიელთა რესპუბლიკა ერთ წუთსაც ვერ შეურიგდებოდნენ ხელახლა რუსეთის პროვინციათ გადაქცევის აზრს.

საქართველოს, აზერბეიჯანისა და მთიელთა რესპუბლიკის პოლიტიკის მთავარი ხაზი თავდაცვა, დაცვა საკუთარ დამოუკიდებლობისა, განმტკიცება საკუთარ სახელმწიფოსა საერთოა და დამახასიათებელიც სამივე რესპუბლიკისთვის.

ამიერ-კავკასიელ ერთა პოლიტიკის ამ მთავარ ხაზს იმ თავითვე მხოლოთ სომხობა არ გაჰყვა; მან თავისი არარატის რესპუბლიკა მხოლოთ იძულებით, მბორგავი სიბრაზით დაიარსა, რათა შეექმნა დროებითი პუნქტი, საიდაც თავს მოუყრიდა ამიერ-კავკასიაში დაარსებულ სამ რესპუბლიკის მტრებს. სომხობა, ეგრე მრავლათ გაბნეული კავკასიასა და რუსეთში ვერ შეურიგდება ადვილად არარატის რესპუბლიკის იმ ფარგლებში მოქცევას, სადაც მთელი სომხობის ერთი მესამედი თუ ცხოვრობს და სადაც ჰავა და მიწა უვარგისი და მწირეა, თვით ქვეყანა ყოველ მოსავალს მოკლებული, ზღვებს მოწყვეტილი, მთელი სომხობის ინტელიგენცია და ბურჟუაზია გაფანტულია კონსტანტინეპოლსა, პეტროგრად-მოსკოვსა და თფილის-ბაქოს შუა, არარატის რესპუბლიკაში თვით მათი მინისტრების ერთი ნაწილი თუ მოიპოვება და ისიც დრო გამოშვებით. ამიტომ, ცხადია სომხობა დაჟინებით გამოეკიდებოდა ერთ იდეას: ამიერ-კავკასიის, და თუ შეიძლება მთელ რუსეთის გაერთიანებას.

ამ გეგმით აიხსნება სომხების მჭიდრო კავშირი რუსეთის ბოლშევიკებთან და შაუმიანის ისტორია. ამ გეგმის განსახორციელებლათ სურთ უცხო ძალის ჩარევა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საქმეებში და მათი მოსპობით ამიერ-იმიერ კავკასიის ძალით გაერთიანება და ამგვარად გაფანტულ სომხების თავის მოყრა.

სომხის ინტელიგენცია თვით სომხეთში თავს ვერ გრძნობს მოსვენებით. მას არ შეუძლია ჩვენსავით მშვიდობიანი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა და კულტურული მუშაობა აწარმოოს, განსაკუთრებით დაშნაკელების ჰეგემონიის ქვეშ.

ამიტომ საერთო დამოუკიდებელ რესპუბლიკის მოსპობა და ერთ დიდ მრავალ ერებიან სახელმწიფოის დამყარება სომხობის უმთავრესი იდეალია.

პირველი იერიში საქართველოზე მოიტანეს, რადგან ჩვენი სამშობლო ყველაზე უფრო ძლიერად ჰხატავს მათ საწინააღმდეგო პოლიტიკას. მეორეს მხრივ, ცხადია რომ თუ სომხები იმ თავიანთ დიდ იდეალს ვერ მიაღწევენ, მათ სურთ უარეს შემთხვევაში ზოგ მატერიულ წარმატებას მაინც მიაღწიონ, ტერიტორიალურ შეძენას ბორჩალო ახალქალაქის სახით, თვით თფილისითურთ.

ამგვარათ საქართველო იბრძვის ეხლა არა მარტო ბორჩალო ახალქალაქისა, არა მარტო თბილისისა, არამედ რევოლუციით დაარსებულისა და გამტკიცების გზაზე დამდგარ რესპუბლიკების თავისუფლებისათვის. სომეხ ავანტიურისტების ჯგუფი დაშნაკელობა თავისი ზინვარებით ლამობს საქართველოს დამარცხებით მომაკვდინებელი მახვილი ჩასცეს ადერბეიჯანსა და მთიელთა რესპუბლიკას. იგი საფრთხეს წარმოადგენს ყველა ერებისა და სახელმწიფოებისათვის ამიერ-კავკასიაში, რომელთა ავანგარდს დღეს საქართველო წარმოადგენს.

კავკასიის ყველა სახელმწიფონი მოვალენი არიან ჯეროვანათ დააფასონ საქართველოს როლი ამ ომში და მათი მხურვალე თანაგრძნობით ზნეობრივათ განამტკიცონ ის პოლიტიკური კურსი, რომლისთვისაც ეხლა სისხლს ღვრის მთელი ქართველობა. ამიერ-კავკასიის ერთა სინიდისი ვერ მოითმენს გულგრილად უყუროს, თუ როგორ უმზადებს დაშნაკცუტუნის ვერაგული პოლიტიკა? მოსპობას და განადგურებას მათ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

არარატის რესპუბლიკის დაშნაკელთა მთავრობის პოლიტიკური კურსი სრულად განცალკევებულია და დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება ამიერ-კავკასიის ყველა ერთა პოლიტიკურ კურსს. მას მახვილით ხელში უნდა ძალით თავს მოახვიოს თავისი მავნე პოლიტიკა მთელს ამიერ-კავკასიას.

ჩვენ უნდა ვეცადნეთ საჩქაროდ ავხადოთ ნიღაბი მათ პოლიტიკას ამიერ-კავკასიის ერთა თვალში და გავრიყოთ არარატის რესპუბლიკის დაშნაკური მთავრობა.

მეორე რიგის, უახლოესი მიზნები ომისა ყველასათვის ცხადია: განმტკიცება სახელმწიფოებრივი საზღვრებისა ჯაჯურის ქედით და სრულიათ განწმენდა ჩვენი ტერიტორიისა მავნე ელემენტებისაგან, რაც საზოგადოთ უზრუნველჰყოფს როგორც თბილისს, ისე ჩვენს სუვერენობას.

მაგრამ ამ მიზნების მიღწევა შესაძლო გახდება თუ ჩვენი მოქმედება იმდენად ჩქარი და სწრაფი იქნება, რომ სულ მოკლე ხანში შევძლებთ ომის სასურველად დაბოლოვებას. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გასწორდეს ანგარიშები ჩვენსა და კადნიერ მტრის შორის.

ტ. მ.

# საქართველო-სომხეთის ომი

## ბრძოლის ველზე

ხიზილიხი, 22 ქრისტეშ. საქართველოს მთავარ-შტაბის ცნობა. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. დილით ხანდახან სროლა იყო.

—

25 ქრისტეშობისთვის საქართველოს რესპუბლიკის მთავარ შტაბის ცნობა. გუშინ სადახლოსთან მთელი დღის განმავლობაში ძლიერი ბრძოლა იყო. მტრის ძლიერი ძალა შეტევას აწარმოებს. სადახლოსთან შემოტევის დროს სოფელ შულავერის მცხოვრებლებმა გააფუჭეს ტელეგრაფი და რკინის გზა რამოდენიმე ადგილას, ბრძოლა გრძელდება. მიღებულია სათანადო ზომები.

—

**ადერბეიჯანის პარლამენტის დეპეშა**

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ბაქოდან ადერბეიჯანის პარლამეტის თავმჯდომარესაგან შემდეგი ხასიათის დეპეშა მიიღო: „იმ დროს, როცა მსოფლიოს ერებმა საშიშ ომის შემდეგ ხმალი ჩააგეს და საერთაშორისო მშვიდობიანობისაკენ მიისწრაფიან, იმ დროს როცა კავკასიის ახალ რესპუბლიკათა შორის საჭიროა მშვიდობიანი თანამშრომლობა, რათა დაამტკიცონ, რომ ისინი ღირსნი არიან დამოუკიდებელ პოლიტიკურ არსებობისა, ადერბეიჯანის პარლამენტმა ღრმა სულიერი მღელვარებით მოისმინა, სამწუხარო ცნობა, კავკასიის ორ მოძმე ერთა საქართველოსა და სომხეთს შორის მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ.

20 ქრისტეშობისთვეს საგანგებო სხდომაზე, პარლამენტმა ერთხმად დაადგინა, მიმართოს საქართველოსა და სომხეთის პარლამენტს ძმური მოწოდებით, იმოქმედონ თავიანთ მთავრობაზე და ყოველი თავისი ძალღონე მოახმარონ მომხდარ ინციდენტის მშვიდობიანად მოგვარებას.

კავკასიის დემოკრატიის სურვილია, რომ კავკასიის ერთა შორის ყველა სადაო საკითხები მოგვარდეს შეთანხმებისა და არბიტრაჟის გზით; ამის საწინააღმდეგო ყოველივე გამოსვლები საიდანაც არ უნდა იყოს იგი, მთელი ქვეყნის დემოკრატიის წინაშე პასუხისმგებლობამდე მიდის.

ადერბეიჯანის პარლამენტი მოგმართავთ თქვენ, ნამდვილ ხალხის წარმომადგენელთ, ძმური მოწოდებით, შეაჩეროთ სისხლის ღვრა და ააცდინოთ ამიერ-კავკასიას სისხლის ნიაღვარი, რადგანაც ამ სისხლს ჩვენი თავისუფალი და დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობის მოსპობა მოსდევს.

—

**დამცველი რაზმი.**

თბილისის მილიციის უფროსმა თავის თანაშემწეს პორუჩიკ მაგილევსკის მიანდო რჩეულ მილიციონერთაგან დამცველი რაზმი შეადგინოს. რაზმის უფროსად მეოთხე უბნის კომისარი ასათიანი დაინიშნა.

—

**მეომართა დამხმარე კომიტეტში.**

კვირას, საღამოს 5 ს., კომიტეტის ბინაზე შესდგა კრება. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი: თავმჯდომარედ ქ-ნი ნ. გაბაშვილისა, თავმჯდომარის ამხანაგებათ—ელ. ელიავასი და მ. რამიშვილისა, ხაზინადრად—ქ-ნი გვაზავასი და მაჭავარიანი, მდივნად ქ. შარაშიძე. კრებაზე გამოცხადნენ წარმომადგენელნი ქალთა საზოგადოებისა, მასწავლებელ ქალთა ჯგუფისა, ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე ქალთა საზოგადოებისა, სახელმწიფო უნივერსიტეტის მსმენელ ქალთა ჯგუფისა. მათ სურვილი განაცხადეს, შეუერთდნენ დამხმარე კომიტეტს, იყოლიონ თავიანთი წარმომადგენელნი კომიტეტის პრეზიდიუმში, შეიმუშავონ პრეზიდიუმთან ერთად სამოქმედო გეგმა და გაანაწილონ სამუშაო გაერთიანებულ საზოგადოების წევრთა შორის. დამხმარე კომიტეტი სრული თანაგრძნობით შეეგება ამ გადაწყვეტილებას.

—

**გორის 22 ქრისტეშობისთვის საჯარო კრებაზე ერთხმად გამოტანილი რეზოლუცია**

გორის მოქალაქეთ მოისმინეს პარლამენტის წევრთა სპ. კედიასი და ი. მაჭავარიანის მოხსენებანი საქართველო-სომხეთის ომის შესახებ, ქალაქ გორში 22 დეკემბერს გამართულ საჯარო კრებაზე; სცნეს საქართველოს მთავრობის და მთელი ქართველი ხალხის განსაკუთრებული თავდაჭერილობა სომხეთთან ომის ასაცდენათ და მათი მტკიცე გარდაწყვეტილება, რომ მშვიდობიანობის გზით მოგვარებულიყო სადაო საკითხები. გამოაქვთ ურყეველი რწმენა სომხის მთავრობის მთელი რიგი მოქმედებიდან, როგორც მაგალითად: 1) ამ თვენახევრის წინათ სომხის მთავრობის მიერ მუხანათური თავდასხმა საქართველოზე და მთელი ლორის დაჭერა; 2) უარყოფა საქართველოს მთავრობის წინადადებისა, რომ საქართველო-სომხეთის უთანხმოება გადაჭრილიყო კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენციაზე და. 3) ეხლა ქრისტეშობისთვის პირველ რიცხვებიდან მუხანათურად, ომის გამოუცხადებლივ სამხედრო მოქმედების გაჩაღება საქართველოს წინააღმდეგ და თბილისიდან 40 ვერსის სიახლოვეზე მოდგომა, რომ სომხეთი ნამდვილად იარაღის საშუალებით შესდგომია საქართველოს წაართვას მისი ისტორიული და სახელმწიფოებრივ-ორგანიულად განუკვეთელი ნაწილები ბორჩალო-ახალქალაქი, ახალციხე, რომ ამასთან ერთად სომხეთი თავის მუხანათურ ხმალს იქნევს საქართველოს დამოუკიდებლობის დასამხობად დენიკინის ოფიცრობასთან შეთანხმებით.

კრებაზე დამსწრენი სრული პატრიოტული მოვალეობის შეგნებით და უკუწაუდგებელის მამულიშვილურის გადაწყვეტილებით აცხადებენ, რომ არავითარი მსხვერპლის წინ არ შესდგებიან და სამშობლოს საკურთხეველზე აღფრთოვანებით მიიტანენ თავიანთ ქონებას და სიცოცხლეს. გავსწყდეთ, უმალ საქართველოს ერთი მტკაველი მიწა მტერს ხელთ დაურჩეს. მუხანათთან ზავზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ქართველის იარაღით სავსებით გადარეკილი იქნება საქართველოს მიწა-წყლიდან. მთავრობასთან და პარლამენტთან ვართ მთელი არსებით ქართველი ერის სამკვიდრებლისა და სამშობლოს ღირსების დაცვაში. **ომი,—მტრის საბოლოო განდევნამდე საქართველოს ტერიტორიიდან!**

გაუმარჯოს ჩვენს ლაშქარს. გაუმარჯოს საქართველოს!

კრების თავმჯდ. ზ. ქოტიაშვილი.

—

**ტიგრანიანის სალონი ომის შესახებ.**

1918 წ., ქრისტეშობისთვის 20-ს მოხდა ტიგრან ნაზარიანის სალიტერატურო-საესთეტო სალონის მორიგი კრება რომელსაც დაესწრნენ ჟურნალისტები, ლიტერატორები, ესთეტიკოსები, მეცნიერები და დაადგინეს: „...მივმართოთ სომხეთის და საქართველოს მთავრობებს თხოვნით რომ მიიღონ ზომები ომის შესაწყვეტად და კონფერენციის და არბიტრაჟის საშუალებით. გადაწყვეტილება ეცნობოს ორივე მთავრობას და დაიბეჭდოს პრესაში სომხურს, ქართულს და ენებზე". („ჟ. ძ." № 28).

—

## ბურჟუაზიულ წრეების დაბეგვრა

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია „ომის სასარგებლოდ საქართველოს ბურჟუაზიულ წრეების დაბეგვრის, საკითხს იხილავს.

—

**სომხის ტყვეები.**

სამხედრო უწყების განკარგულებით ის ტყვეები რომელნიც დღემდე თბილისში მოიყვანეს, ქუთაისში გაგზავნეს. ამიერიდან ბრძოლის ველიდან წამოყვანილ ტყვეებს პირდაპირ ქუთაისში გაგზავნიან.

—

**სანიტარული რაზმი.**

საჭიროა 200 სანიტარი, მოხალისენი, სასურველია ინტელიგენტები. ჩაწერა და პირობების გაგება შეიძლება ქსენიას ქუჩა № 10.

—

**მეომართათვის.**

პარლამენტის წევრმა აბრამ ბუზიაშვილმა ბრძოლის ველზე მყოფ მეომართათვის 10,000 ცალი პაპიროსი შესწირა.

—

**ინგლისის მისია საქართველოს მთავრობასთან.**

კვირას ინგლის-საფრანგეთის მისია წარუდგა საქართველოს მთავრობას და სთხოვეს სომხებთან საქმე მშვიდობით მოაგვარონ. მთავრობამ ღირსეული პასუხი გასცა.

## სიონის ტაძარში

კვირას, 22 ქრისტეშობისთვეს, სიონის საკრებულო ტაძარში წირვის შემდეგ, პარაკლისის წინ, კათოლიკოზ-პატრიარქის მოსაყდრემ თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, რომლის შემდეგაც სიონის კრებულის მიერ მლოცველთა შორის შეიკრიბა შეწირულება ომის საჭიროებისათვის 515 მან. ამავ საგნისათვის სიონის კრებულისა და მნათესაგან ეკლესიის თანხიდან ჯერ-ჯერობით გადადებულ იქმნა 1000 მან.

—

## გაზეთები ჯარისკაცებს

ქალთა წრემ მოაწყო ბრძოლის ველზე მეომრებისთვის გაზეთების მიწოდება.

—

**საქველმოქმედო საზოგადოების მოწოდება.**

საქართველოს შვილნო და მოქალაქენო! ჩვენს სამშობლოს ვერაგულად მოადგა მტერი, რომელიც კრავის ქურქში იყო გახვეული, და მშვიდობიან, დაბანაკებულ მოძმეს სახელით სარგებლობდა ჩვენი კაცთმოყვარეობით და სულგრძელობით. დღეს ამ დიდიხნის მეზობლის გაბატონებულმა წრეებმა, ვეღარ დაჰფარეს გულში ნადები ღვარძლი და უიმედო იმედებით გათამამებულნი თავს დაგვესხნენ მახვილ ამოწვდილნი. დემოკრატიულ საქართველომ დაინახა რა, რომ ამნაირ მტერთან მშვიდობიანი და ძმური სიტყვა უძლური გამოდგა მოღერებულ სომხის მახვილს ქართული ხმალი მიავება, რათა დაიცვას უტიფარ ადამიანთაგან საყვარელ სამშობლოს საზღვრების ხელშეუხლებლობა, დემოკრატიულ ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

—

ყველა ქართველი მიეშურება მტერთან საბრძოლველად. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენო, განურჩევლად ეროვნებისა, დავამტკიცოთ, რომ ჩვენთვის ძვირფასია ყველა მეომარი, რომელიც დღეს თავგანწირული იცავს რესპუბლიკას. ჩვენი თანაგრძნობა დავამტკიცოთ მცირე დახმარებით მაინც: ყველა მოქალაქემ დაიდოს ვალად საშობაო საჩუქრებით ბრძოლის ველზე მყოფ სახალხო გვარდიის რეგულიარულ და მოხალისეთა რაზმების ჯარის კაცთ. ქართველ საქველმოქმედო საზოგადოებამ თავის მხრივ გადასდო ამ საქმისათვის 50,000 მან. ეჭვს გარეშეა, რომ არც ერთი მოქალაქე არ აიცდენს თავიდან ამ ფრიად საჭირო, საჩქარო ზნეობრივად სავალდებულო დახმარებას მებრძოლ ძმათათვის. დახმარება მიიღება: ფულით, გამომშრალი პურით (სუხარი), კონსერვით, სხვა და სხვა სასმელებით, თუთუნით, თუთუნის ქაღალდი, პაპიროსი, ჩაი-შაქარი, თბილი ტანისამოსი, საცვლები, ფეხსაცმელი, თბილი წინდები, ძაფი, ლილი და სხვა.

შემომწირველთა სია ყოველ კვირა გამოქვეყნდება გაზეთებში, შემოწირულება მიიღება ყოველ დღე ქართველ ქარვ. საზოგადოების კანტორაში სასახლის ქუჩა № 5.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მთავარი გამგეობა.

**შემოწირულება ჯარისთვის**

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთ. გამგეობამ მიიღო შემოწირულება საქართველოს ჯარისათვის შემდეგ პირებისაგან: გენ. ვლ. ოდიშელიძისაგან 1 ბოთ. კონიაკი და 4 გ. თამბაქო, ალ. ჯაბადარისაგან 500 მ., ამხ. „საერო“-საგან 500 ბოთ. ღვინო, სარაჯიშვილის კანტორიდან 240 ნახევარი ბოთლი კონიაკი. მარ. აბრამიშვილისაგან 4 გირ. თამბაქო და 2 კოლოფი წუმწუმა, აბ. ბუზიაშვილისაგან 5 ათასი პაპიროსი, პარიამ, ელისაბედ და ვახტანგ მაჩაბლებისაგან 75 მ., ად. ი. ფორაქიშვილისაგან 1000 მან., ტ. მარგველაშვილისაგან 50 მ., ნინა ცერცვაძისაგან 50 მ., კ. მ. სოლორაშვილისაგან 50 მ., ს. ნ. ლაბინსკაიასაგან (ვერცხლით) 35 მ.

მთავარი გამგეობა ულრმესს მადლობას სწირავს შემომწირველთ.

## პროვინცია

**ს. პატარძეული.** მთელი სოფელი ბრძოლის ველზე მიდის. ერთი კვირის წინედ გერმანიის ტყვეობიდან დაბრუნებულებიც აღარ გაჩერდნენ და მხიარულ ყიჟინით წამოვიდნენ.

—

**ს. საგარეჯო.** ქართველ ძმებს არ ჩამორჩნენ ქართველი სომხები და აღფრთოვანებით წამოვიდნენ ბრძოლის ველზე. მრავალია მათ შორის მოხალისე.

—

## დაჭრილი ჯარისკაცნი გვარდიელები

დაჭრილ ჯარისკაცებს ათავსებენ სამხედრო ქსენონში—ნავთლუღში, ხოლო დაჭრილ გვარდიელებს—№ 41 საავადმყოფოში, (პეტრე დიდის ქუჩა).

## ანდრია დადიანი

კვირას, ქვაშვეთის ეკლესიიდან სამშობლოში გაასვენეს სადახლოსთან გმირულად დაღუპული პირველ ცხენოსანთა პოლკის როტმისტრი თ-დი ანდრია დადიანი. ეკლესიიდან გამოსვენებისას სიტყვები წარმოსთქვეს დ. ქარცივაძემ და გრ. ლაღიძემ, ხოლო გოლოვინის პროსპექტზე—ბრძოლის ველზე მიმავალ პოეტმა პაოლო იაშვილმა.

—

**მ. დავითაშვილი.**

19 ქრისტეშობისთვეს ვორონცოვკასთან ვერაგ მტერთან ხელჩართულ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა დონის უნივერსიტეტის სტუდენტი და ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი, ცხენოსან გვარდიის დივიზიონის უნტერ-ოფიცერი მიშა დავითაშვილი (დარბაისელი). განსვენებული გაზაფხულზე ოსმალებთან შებმის დროს დაიჭრა ბორჯომის ასპარეზზე და ახლაც პირველ რიგში ჩადგა სამშობლოს დასაცავად.

მისი გვამი სასტიკად შეურაცხყოფილია მტრისაგან. დაკრძალვა მოხდება დღეს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

—

## თავდაცვის ფონდი

თავდაცვის ფონდის გასაძლიერებლად სოფიო სიკაძისამ 100 მანეთი შესწირა.

# საქართველოს პარლამენტში

### 20 ქრისტეშობ. სხდომა

(დასასრული)

**აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნების დებულება**

### მომხსენებელი გ. რცხილაძე

რევოლიუციის პროცესში საქართველოს ტერიტორიაზე დაარსდა სხვადასხვა ეროვნული საბჭოები. ასეთი საბჭო დაარსდა აფხაზეთშიაც, მაგრამ სხვადასხვა ადგილობრივი პირობების გამო აფხაზეთის საბჭო დაიშალა. საჭიროება კი ამ საბჭოს არსებობისა არის. საქართველოს პარლამენტმა უკვე დიდი შრომა გასწია აფხაზეთის ცხოვრების მოსაწესრიგებლად. საქართველოს და აფხაზეთის ურთიერთობა წარსულში კარგად მოგეხსენებათ. საქართველოს გაერთიანების იდეა პირველად სწორედ აფხაზეთიდან გამომდინარეობდა. აქამდე ძლიერი კავშირი იყო და იქნება მომავალშიაც. აფხაზეთის საჭიროებას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვექცეთ. ის პრინციპები, რომლებზედაც აფხ. საბჭო უნდა დაეყრდნოს, შემუშავებულია აფხაზეთშივე, საბჭოს არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს ყველა, ვინც აფხაზეთში სცხოვრობდა 1914 წ. 19 მკათათვემდე.

კანონპროექტი ერთხმად იქმნა მიღებული.

**50 მილიონიანი 5%-იანი სესხი**

### მომხსენებელი იასონ ლორთქიფანიძე

მთავრობამ შემოიტანა კანონპროექტი მოკლე ვადიანი 50 მილ. სესხის შესახებ. უმთავრესი დებულებანი ამ სესხისა შემდეგია: სესხი გამოიცემის საქართველოს ხაზინის სერიების სახით „ერთი წლის ვადით, მაზედ ირიცხება 5%, რომელსაც წინდაწინვე ღებულობს მყიდველი. ეს სერიები გაიცემა და მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალ-გასავლის დასაფარავად და აგრეთვე საწინდრათაც. როგორც ხედავთ სესხის პირობები მეტად შეღავათიანი არიან და მყიდველს სარგებლობის მეტი არაფერი მოელის.

ამ გვარი და საზოგადო სესხის შესახებ არა ერთხელ აღძრულა წინეთ საკითხი, როგორც მთავრობაში, ისე საფინანსო კომისიაში, მაგრამ როგორც პირველი ისე მეორე, აქამდე მორიდებით ეკიდებოდენ ამ საკითხს, რადგან ფიქრობდენ, რომ ჯერ არ დამდგარა დრო, როცა შესაძლებელი იქნეს სესხის განაღდება. მაგრამ უკანასკნელ დროს გარემოება შეიცვალა. მეზობლების მოქმედებამ, მთავრობის ზოგიერთმა ნაბიჯებმა ჩვენი ერი შეაერთა და მიუხედავათ პარტიული განსხვავებისა ერთი საერთო გეზი და ერთი საერთო მიმართულება აგვიჩინა. ამგვარი მომენტი საუკეთესო ნიადაგს ქმნის ფინანსიური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად და პირველ ნაბიჯად ამგვარ გამოკეთებისა არის ჩვეულებრივ სახსარის ხმარება ფულის ტრიალში. სესხი კი ჩვეულებრივ ნორმალურ სახსრად ითვლება მშვიდობიანობის დროსაც ჩვენზედ უფრო გამაგრებულ ქვეყნებში.

ამ სესხის განაღდებისათვის საჭირო ხალხის ნდობა მთავრობის ფინანსიური პოლიტიკისადმი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართველ ხალხში ამ ნდობის პირველი ნიშნები უკვე სჩანს და ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში მთავრობა შემდეგს ნაბიჯებს გადასდგამს ამ ნდობის გადიდებისა და გაძლიერებისათვის. ფინანსიური მხრით ეს ზომები შეიცავენ: ბიუჯეტის შედგენას, გადასახადების მოკრეფას, ხარჯების შემცირებას და ეკონომიური მხრის ე. ი. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. რომ ეს პირველი ნაბიჯი უკანასკნელი და უხეირო არ გამოდგეს მთავრობა მოვალეა თავიდანვე მიაქციოს ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება.

შედეგი ამ სესხის განაღდებისა მრავალ ნაირია. მოგახსენებთ მხოლოდ რამდენიმეზე. ამ სესხით ხაზინას ემატება 50 მილიონის თავისუფალი თანხა, რომელიც რასაკვირველია მთელ ბიუჯეტს ვერ დაფარავს მაგრამ საკმაო თანხას წარმოადგენს არა ჩვეულებრივი და სამხედრო საჭიროებათა დასაფარავად.

სესხის გამოცემით ჩვენ არა თუ არ ვამრავლებთ ბონებს, არამედ კიდევაც ვამცირებთ იმათ ხალხში ტრიალს რადგან სესხის განაღდებით, 50 მილიონ ბონებს ამოვეწურავთ ხალხიდამ. ამგვარი შემცირება ბონებისა ხალხში თავისთავად მოუმატებს მას ფასს და შეამცირებს საქონლის ფასს.

დასასრულ ამ სესხის გამოცემით ჩვენ ვდგამთ პირველ ნაბიჯს ჩვენი ფინანსების გამოცალკევებისას. შვიდი თვის ალერსმა მეზობელ ერებთან, სამწუხაროდ, მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოგვიტანა. ამ მოკლე ხანში ძნელია, რომ ეს მდგომარეობა გამოსწორდეს. ამიტომ გამოცალკევება და თავისუფალი მოქმედება ფინანსიურ სფეროში, რომელიც შეადგენს უმთავრეს ღერძს ყოველი სახელმწიფოსას, ჩვენთვის მეტად დიდი და მეტად საჩქარო საქმეა. შემდეგში, როცა ჩვენი მეზობელი ერები ჩამოყალიბდებიან და თავის ქერქში დადგებიან, დარწმუნებული ვართ უფრო ადვილათ შევვძლება მათთან შეთანხმება ფინანსიურ და სხვა ეკონომიურ საკითხებშიაც.

მე მოკლედ მოგახსენეთ, როგორც ამ სესხის საფუძვლები, ისე ის შედეგები, რომელიც მას უნდა მოჰყვეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მთელი საქართველოს ხალხი, მისი ყოველი კლასი, მისი ყოველი მიმართულება, ვისაც კი სურს ჩვენი კეთილდღეობა და სწამს მისი მომავალი მხარს დაუჭერს ჩვენი მთავრობის ამ პირველ სერიოზულ ფინანსიურ ნაბიჯს და ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ამ სესხის გასანაღდებლად.

კანონ-პროექტის ტექსტი ასეთია:

1. ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არაჩვეულებრივი ხარჯის დასაკმაყოფილებლად მიეცეს რესპუბლიკის მთავრობას უფლება გამოსცეს ორმოცდა ათი მილიონი (500,000,000) მანეთის 5 პროც. მოკლე ვადიანი სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებანი ერთი წლის ვადით.

2. ვალდებულებანი უნდა იყოს უსახელო და დაიყოს შემდეგ კუპიურებად: 5,000 მანეთიანი, 1,000 მან., 500 მანეთიანი და 25 მან.

**შენიშვნა:** თუ მსურველნი აღმოჩნდნენ. უსახელო ვალდებულებანი 500 მ. და 1000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობითი ვალდებულებათ და ჩაიწეროს ხაზინის თფილისის წიგნებში.

3. აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებული იქნეს სახელმწიფო გადასახადისაგან.

4. ვალდებულება გაიცემა და მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალ გასავალის დასაფარავად და აგრეთვე საწინდრათაც.

5. ვალდებულებათა შეძენა შეიძლება სახელმწიფო ბანკის კანტორაში და განყოფილებაში, რესპუბლიკის ხაზინებში და ყველა კერძო საკრედიტო დაწესებულებებში.

6. სარგებელი ვალდებულების მიმღებთ ეძლევათ წინდაწინ დღიდან მისი შეძენისა.

7. ვალდებულებათა სარგებლის დასაფარავათ შეტანილ იქნას რესპუბლიკის 1919 წლის ხარჯთაღრიცხვაში ორ მილიონ ნახევარი (2,500,000 მან.

8. გაეხსნას ფინანსთა მინისტრს ვალდებულებათა გამოსაცემ ხარჯების დასაფარავად კრედიტი ასი ათასი მანეთისა, რაიცა შეტანილ იქნას 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

9. ფინ. მინისტ. მიენდოს კანონის განსახორციელებლად სათანადო ინსტრუქციების გამოცემა თანახმად ამა კანონისა და საკრედიტო წესდების (რუსეთის კანონთა კრებული ტ. XI ნაწილი მეორე, გან. 152 მუხლიდან—184 მუხლამდე).

10. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მისი მიღებისა პარლამენტის მიერ.

კანონპროექტი ერთხმად იქმნა მიღებული.

პარლამენტის შემდეგი სხდომა დანიშნულია დღეს ნაშუადღევს 12 ს.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

### გერმანული პრესა 19 ქრისტ.

**ტრიესტი — თავისუფალ ნავთსადგურად.**

აგრამიდან მოსული ცნობით, ინგლისი, საფრანგეთი და ამერიკა თანახმაა აღასრულონ სამხრეთ სლავიანთა მოთხოვნილება, რომ ტრიესტში ინტერნაციონალურ თავისუფალ ნავთსადგურად გამოცხადდეს.

**ალბანეთი**

ალბანიის ეროვნულ კომიტეტმა ჟენევაში ალბანეთის ბედის გადაწყვეტა ვილსონს მიანდო, ალბანეთის მანიფესტი სთხოვს ვილსონს თავიდან აიცილოს ის უსამართლობა, რომელიც ლონდონის კონგრესმა მიაწერა ალბანეთს.

**ჩეხო-სლოვაკების პრეზ. მასარიკი რომში**

16 ქრისტეშობისთვეს რომში ჩამოვიდა ჩეხო-სლოვაკთა რესპუბლიკის პრეზიდენტი მასარიკი, რომელსაც სადგურზე შეეგება მეფე.

**დემონსტრაცია პოლონეთის წინააღმდეგ**

პრუსიის მინისტრის გირბის დაბე ცინგში ყოფნის დროს გაიმართა გერმანელთა დემონსტრაცია პოლონეთის წინააღმდეგ, ოანცინგის პოლონეთის საზღვრებში გარიცხვის გამო. დიდძალი ხალხი გერმანული ჰიმნის სიმღერით გაემართა მთავრობის ბინისკენ, სადაც ორატორები ამბობდენ, ორმ დანცინგი ძველი გერმანიის ქალაქია და აღმოსავლეთ-პრუსიის დეპარტამენტი ყოველთვის გერმანიის განუყოფელ ტერიტორიად ითვლებოდა. შემდეგ გადასწყვიტეს პარიზში პრეზიდენტ ვილსონს შემდეგი რადიო დეპეშა გაუგზავნეს: ქალაქ დანცინგის 150.000 გერმანელის სახელით გთხოვთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, მიიღოთ მხედველობაში, რომ ქალაქი დარცინგი ძველ დროიდანვე გერმანიის ქალაქათ ითვლება. მიუხედავად ამისა პოლონელები გვედავებიან დარცინგზე და სთვლიან მას პოლონეთის ტერიტორიის საკუთრებათ. ასეთ მოქმედებაზე ჩვენ გერმანელების უმრავლესობა 98 პროც., 2 პროც. პოლონელების წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებთ.

**აღმოსავლეთი პრუსია.**

გირშის კაბინეტმა განაცხადა, რომ ახლანდელი მთავრობა მისგან დამოკიდებულ ყველა ზომებს მიიღებს, რომ აღმოსავლეთი პრუსია გერმანიას დარჩეს. მთავრობა ვილსონის 14 პუნქტის პლატფორმაზე სდგას და მოითხოვს თვით გამორკვევის უფლება მიენიჭოს აღმოსავლეთ პრუსიასაც.

**ებერტის განცხადება იმპერატორის გაცემაზე.**

ამბურგის დემოკრატიულ პარტიის დეპეშის საპასუხოდ სახალხო კომისარმა ებერტმა განაცხადა, რომ სიმართლეს არ შეეფერება ის ცნობა, თითქოს მთავრობას თანხმობა განეცხადებიოს ყოფილ იმპერატორის გაცემაზე.

**გერმანიის მუშ. და ჯ. კ—თა საბჭოების ყრილობა.**

გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყრილობამ 18 დეკემბერს პირველ რიგში განიხილა მოთხოვნილება იმ ჯარის კაცებისა, რომელნიც ყრილობის კორპორაციაში შევიდენ წინა დღით საღამოს. დიდი კამათის შემდეგ ჯარისკაცთა მოთხოვნილება მიიღეს. კრების დროს მოვიდა მუშათა დეპუტაცია, რომელმაც მოითხოვა მოუსმინონ მათ ისე როგორც წინა საღამოს ჯარისკაცთ მოუსმინეს. ბოლოს გადასწყვიტეს მიიღონ დეპუტაცია მხოლოდ იმ პირობით, რომ ეს იქნება უკანასკნელი დელეგაცია, რომელსაც სხდომის დარბაზში დაუშვებენ. დეპუტაციის მეთაურს ნება დართეს გამოაქვეყნოს სპარტაკელთა ჯგუფის მოთხოვნილება, რომელიც მიმართულია დამფუძნებელი კრების მოწვევის წინააღმდეგ, სხვაზე ლაპარაკის ნება არ დართეს. სხდომა დასრულდა დიტმანის და რიჩარდი მიულენის მოხსენებით სახალხო კომისარების და აღმასრულებელ კომიტეტის მოქმედების შესახებ უკანასკნელ ხანამდე შემოსულ წინადადებათა შესახებ კენჭის ყრის შედეგმა გამოარკვია, რომ დიდი უმეტესობა სოციალისტურ უმრავლესობის მხარეზეა. დაადგინეს აღმასრულებელი ძალა-უფლება სახალხო კომისართა საბჭოს გადაეცეს და მას კანტროლისთვის დაენიშნოს ცენტრალური საბჭო, რომელიც შესდგება მუშათა და ჯარის კაცთა წარმომადგენლებიდან. ასეთი წესრიგი დარჩება დამფუძნებელ კრების მიერ საბოლოო კონსტიტუციის შემუშავებამდე. აქამდე ფიქრობდენ, რომ ხუთშაბათს ყრილობის სხდომაზე შემოსული ჯარის კაცები გროსბერლინის 20 სხვა და სხვა სამხედრო ნაწილებიდ წარმომადგენელნი იყვნენ, მაგრამ როგორც გამოირკვა 12 მათგანს ამის შესახებ არაფერი სცოდნია.

**თელაველ სომხთა პროტესტი.**

შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე თელავიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: „თელავის სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის სომეხი წევრები დეპეშით უცხადებენ დღეს, 19 ქრისტეშობისთვის, სომხეთის მთავრობას პროტესტს სანაინში ორ ძმათა შორის უმანკო სისხლის დაღვრისთვის. ჩვენ, სომეხი სოციალ-დემოკრატები, მუდამ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მივდიოდით ქართველ დემოკრატიასთან ერთად მტრის წინააღმდეგ და შემდეგშიაც ასევე ვიქნებით. ყოველთვის ერთად ვხდებით იარაღით ხელში, როგორც გარეულ, ისე შინაურ მტრებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დასაცავად. ჩვენ, სომხის დემოკრატია, ვუცხადებთ საქართველოს მთავრობას სრულ ნდობას და ვთხოვთ ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, გაგზავნილ იყვეს საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად, ქართველ დემოკრატიასთან ერთად სომხის დემოკრატიაც, რომელიც არა ნაკლებ დაიცავს საქართველოს, სადაც ისინი აღზრდილან და თავის მოძმე ქართველებთან ერთად უღვრიათ სისხლი.

**ალანდიის კუნძულის ბედი.**

სტოკჰოლმიდან იუწყებიან: შვედური გაზეთების ცნობით შვეციის მინისტრმა ჰელსინგფორში ფინლიანდიის მთავრობას გადასცა ნოტა, რომელშიც აღნიშნავს, რომ ალანდიის კუნძულის მცხოვრებნი სურვილს გამოსთქვამენ კუნძული შვეციას შეუერთდეს.

**ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრ ლუის ბირონ გადადგომა.**

გაზეთ „ტან“-ს აუწყებენ, რომ ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი ლუის ბირო თანამდებობიდან გადადგა რის მიზეზათ ავადმყოფობას ასახელებს. ნამდვილათ კი მიზეზი ის არის, რომ ბიროს წინააღმდეგ ხშირათ ილაშქრებდენ. მას ჰკიცხავდენ გამოუცდელობისა და უნიჭობისათვის, ზოგი გაზეთი კი ამტკიცებდა, რომ უწესრიგობა იყო გამეფებული საგარეო საქმეთა სამინისტროში, რასაც შედეგათ მოყვა ცუდი დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა როგორიც მაგალითად შვეიცარიაში.

**დემობილიზაცია კროაციაში.**

აგრამიდან იუწყებიან, რომ კროაციის მთავრობამ ბრძანება გასცა 81 დეკემბრამდე ჯარის დემობილიზაცია მოხდეს.

**ადესის ქართველობის დეპეშა.**

თბილისი, 20 დეკემ. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სახელობაზე ადესიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა: ადესის ქართველთა საზოგადოების საერთო კრებამ იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის 6 თვის თავი. საერთო კრება მოულოცავს ამ დღესასწაულს საქართველოს მთავრობას და უსურვებს აყვავებას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ხოლო ... ქართველ ერს ... მთავრობას ქართველი ერის სასარგებლოთ დღეგრძელობას „მრავალჟამიერ“.

**შეიდემანელები.**

**ნაუენი.** 17 ქრისტ. დიუსელდორფის საბჭოდან შეიდემანელები გავიდენ. ქალაქ ადენ-ვესტფალში შეიდემანელებსა და დამოუკიდებელთა შორის მოლაპარაკება მოხდა. მოლაპარაკების შემდეგ შეიდემანელები გავიდენ. ქალაქ დიუსელდორფში სრულიად გერმანიის საბჭოთა ყრილობაზე აირჩიეს 18 დამოუკიდებელნი და 1 შეიდემანელი. ბრაუნშვეიგის ქალაქის მართველობაში აირჩიეს 12 დამოუკიდებელი და 7 ბურჟუაზიულ პარტიის წარმომადგენელი.

**პორტუგალიის პრეზიდენტის მკვლელობა**

**ლიონი.** 18 ქრისტეშ. ლისაბონში პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მკვლელნი დააპატიმრეს. დაპატიმრებულნი მძიმეთ არიან დაჭრილი.

**ბ უ დ ა პ ე შ ტ შ ი**

**სტოკჰოლმი.** 16 ქრისტეშ. ბუდაპეშტში მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციები გაიმართა. ბარნა, რომელიც შეეცადა აეძულებია კალოლიი ჩამოსცილებოდა სოციალ-დემოკრატებს, აფიცერთა კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს ამხედებდა. ბარნა თანამდებობიდან გადააყენეს.

**ტყვია-წამლის საწყობის აფეთქება**

**კარლსრუე.** 13 ქრისტეშ. სტრასბურგთან ფრანგების ტყვია-წამლის საწყობი აფეთქდა. მსხვერპლი დიდია.

**პოლონეთის მთავრობის თხოვნა**

**ნაუენი.** 16 ქრისტეშ. პოლონეთის მთავრობამ დაავალა დანიის მთავრობას დაიცვას პოლონელების ინტერესები ბერლინში.

**მოკავშირეთა ჯარი გალიციაში**

**ვარშავა.** 16 ქრისტეშ. ცნობა მოვიდა, რომ მოკავშირეთა ჯარს გალიციაში სტანისლავი დაუჭერია.

**ლიტვის მუშ. რევ. მთავრობის მოწოდება.**

**ვილეიკა.** 16 ქრისტეშ. ლიტვის მუშათა რევოლიუციონურმა მთავრობამ მანიფესტი გამოუშვა, სადაც აჯანყებულ მუშათა და უღარიბეს გლეხთა სახელით აცხადებს, რომ ლიტვის ტარიბის გერმანიის სამხედრო საოკუპაციო მთავრობა გადაყენებულია. ყველა გერმანიის საოკუპაციო ტარიბის წარმომადგენელი უნდა დაატყვევონ და შეცვალონ ისინი.

# ძეგვის ხიდის აფეთქების საქმე სასამართლოში

ძეგვის ხიდის აფეთქების საქმემ იმ თავითვე დიდი ყურადღება მიიქცია ჩვენი საზოგადოებისა და შაბათს, ქრისტეშობისთვის 21, როდესაც თბილისის საოლქო სასამართლოს დარბაზში დანიშნული იყო ამ საქმის გარჩევა, დიდძალი ხალხი მიიზიდა.

**ბრალდებულთა მოყვანა.**

საპატიმროდანვე ბრალდებულნი გაძლიერებულის რაზმით ალყაშემორტყმული მოჰყავდათ; ქუჩებში დარაჯთა ბრძანებით ყველა ჩერდებოდა „ხელებ აშვერილი“, დუქნებისა და მაღაზიების დარაბებს მიუგდებდნენ ხოლმე. ამ სახით მოიყვანეს ბრალდებულნი სასამართლოს შენობაში დილით, თერთმეტის ნახევარზე.

**სასამართლოს დარბაზში.**

ამ დროსათვის სასამართლოს დარბაზის წინ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი და ცხარე ბაასი იყო ჯგუფ-ჯგუფად. სასამართლოს დარბაზი უკვე სავსე იყო ბილეთიან სტუმრებით. საპატიო პირთა შორის აქ ნახავდით ბევრს დეპუტატს საქართველოს პარლამენტისას, კალმოსანს, მღვდელს, ტერტერას, სომეხს, ქართველს, რუსს. უმანდილო მანდილოსნობა, როგორც ყველგან ამისთანა შემთხვევაში, აქაც სჭარბობდა. მარცხნივ ბრალდებულთა დამცველი ვექილები და პრესის წარმომადგენლები მოთავსებულან, მარცხნივ დეპუტატები და სხვა საპატიო პირნი, აგრეთვე დარბაზის სიღრმეში, მოსამართლეთა მაგიდის უკან, სავსეა საპატიო პირებით. დარბაზს მოუთმენლობა ეტყობა.

**ინგლისელები.**

„ინგლისის მისია მოდისო“—გაისმა დარბაზში და მცირე ხნის შემდეგ დარბაზში შუა კარით შემოაცილეს ორი ინგლისელი სამხედრო პირი, რომელთაც საპატიო ადგილი მისთავაზეს მარცხნივ. (აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს საპატიო სტუმრები მცირე ხანს დარჩნენ და ვიდრე ბრალდებული შმაგილოვი ჩვენების მიცემას დაიწყებდა, გვერდის კარით გავიდნენ და აღარც დაბრუნებულან).

**ბრალდებულნი.**

11-ს ხუთი წუთი აკლდა, როდესაც დარბაზში მარჯვენა კარიდან შემოიყვანეს ბრალდებულნი. ამაღლებულ მოაჯირში მოათავსეს და დარაჯები მიუყენეს. მთელი დარბაზი მათ მია-

ჩერდა. ამ დღის გმირნი არხეინის გამოხედვით ათვალიერებდნენ მაყურებელთ.

**გ. ლ. შმაგაილოვი.**

უმთავრესი ბრალდებული გიორგი ლეონიდის ძე შმაგაილოვი შუა ხნის კაცია (43 წ.) ცოლ-შვილიანი, მემამულე, სამხედრო ინჟინერი. შესახედავად შუა ტანისაა, ჩასხმული, მოქერაო, მთლად მელოტი, აჩეჩილ მორგვალებული წვერები მორგვალო ბრტყელ სახეზე, თვალები მოლურჯო აქვს, გამომეტყველება ცივი, ხანდისხან დამცინავი იერი უკრთის თვალებში, განსაკუთრებით როცა მეტად სცრუობს, და ბავშური ღიმილით სცდილობს ეს დაჰფაროს.

**კ უ ჩ ა რ ი ა ნ ც ი.**

მიხეილ (იგივე სარქის) სტეფანეს ძე კუჩარიანცი 31 წლისაა, ჩასხმული, შავგვრემანი, დაბალ შუბლა, მოკლე შავ თმიანი, შავ წვერ შეკვეცილი, შესახედაობით ტიპიური ზინვორია, ბორჩალოდან არის. საკუთრება არაფერი ჰქონია. რუსულს უხეიროდ ლაპარაკობს.

**კ უ რ უ ლ ი ა ნ ი.**

აკ. არ. კურულიანი 30 წლისაა, უცოლ-შვილო, უსახლკარო, ერევნის გუბერნიიდან, შავწვერ-ულვაშა, ინტელიგენტური შეხედულობა აქვს.

**სასამართლოს შემადგენლობა.**

11 საათზე სასამართლოს ბოქაულის ხმა გაისმა: „სასამართლო მოდის, გთხოვთ ასდგეთ!“ მთელი დარბაზი ფეხზე დგება. შემოდიან სასამართლოს წევრნი: ბ-ნი ჯაფარიძე (თავმჯდომარე) და წევრნი: სილიბისტრო ჯიბლაძე და კარასევი. ბრალსა სდებენ ბრალმდებლის ამხანაგები ჩხატარეიშვილი და კანდელაკი. დამცველებად არიან: ნაფ. ვექ. ზელინსკი და პოპოვიანცი.

**ივ. ზურაბიშვილის საჩივარი**

კრების გახსნამდე თავმჯდომარე ბ-ნი ჯაფარიძე კითხულობს წერილობითი განცხადებას რკინის გზის უფროსის ბ-ნ ზურაბიშვილისას, რომელიც ბრალდებულთაგან მოითხოვს ძეგვის ხიდის აფეთქებით მიყენებულ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც უდრის 215820 მანეთს. სასამართლომ შეიწყნარა საჩივარი.

**გაირჩეს თუ გადაიდოს?**

სასამართლოში 27 მოწმეთაგან ექვსი არ გამოცხადდა. ამის გამო ბრალდებულთა დამცველებმა ითხოვეს საქმის გადადება. სასამართლო სათათბიროდ გავიდა და მერე გამოაცხადა, რომ საქმის გარჩევას შეუდგებითო.

**საბრალმდებლო ოქმი.**

თავმჯდ. ბ-ნი ჯაფარიძე კითხულობს საბრალმდებლო ოქმს, რომლიდანაც სჩანს, რომ „1 ნოემბერს 1918 წ. დილის ხუთის ნახევარზე ქსანკას სადგურის მახლობლად, ბათომის ლიანდაგზე მე-262 ყაზარმასთან გაისმა აფეთქების ხმა ოთხჯერ ზედი-ზედ. აფეთქებული აღმოჩნდა ძეგვის ხიდი. რკინის გზის სადგურის ყარაულებს ხმა გაუგიათ, მაგრამ შიშით გარეთ ვერ გამოსულან. აფეთქების ხმაზე სოფლელები მოგროვილან. დარაჯებს უცნობებიათ ადგილობრივ კომისარისათვის. ‡ რკინის გზის ოსტატისათვის, რომელსაც განკარგულება გაუცია, აფეთქებულ ხიდზე მატარებლები აღარ გაეშვათ. ბოლოს შესდგომიან დამნაშავეთა ძებნას.

ნოემბრის 1-ს ნაშუადღევის 4 საათ. ძეგვის ტყეში გლეხს ივ. სუხიშვილს შეჰხვედრია ორი უცხო კაცი—ერთი სომეხი, მეორე რუსი, პირველს მისთვის უკითხავს გზა კა...ავისაკენ. სუხიშვილს სოფელში ჩამ...ავლისას ეს ამბავი გადაუცია ხიდთან თავმოყრილ ხალხისათვის და კომისარისათვისაც უცნობებია.

2 ნოემბერს დილი სოფ. დილმელ გლეხებს გიორგი მზარეულიშვილს და ნიკოლოზ ლასხურიშვილს გორაზე თვალი მოუკრავთ ორ საეჭვო პირისათვის. უკითხავთ „ვინა ხართო“? ერთი რუსი ყოფილა; მეორე სომეხი. სომეხს უპასუხნია „რა შენი საქმეაო“, მზარეულიშვილს რევოლვერით დაჰმუქრებია, სროლა აუტეხნია და თავისი ამხანაგით ტყეს მიჰფარებია. მზარეულიშვილს და ლახურიშვილსა აუტეხიათ სროლა.

ასეთ ცნობების მიღების შემდეგ, სართიჭალის რაიონის კომისარს ზაქარია ჯაფარიძე - ხიზანაშვილს შინაგან საქმეთა მინისტრის საგანგებო საქმეთა უფროსის თანაშემწე პლატონ ფაჩულიასათვის და თბილისის მაზრის კომისარსის იოსებ გომართელისათვის უცნობებია ეს ამბავი. ყველანი ერთად მილიციონერებით იმ ღამესვე (2 ნოემბერს) ეტლებით გამგზავრებულან დიღომისაკენ. 3 ნოემბერს დილით 6—7 საათზე დიღმის მახლობლად, თბილისიდან მე-9 ვერსზე ეტლიდან ჩამოსულს უფროს მილიციონერს მაღალაშვილს შეუმჩნევია ვიღაც საეჭვო კაცი თეთრშემდეგიანი, რომელიც შეუპყრია და წარუდგენია გომართელთან და ფაჩულიასთან. ამ უცნობს უთქვამს ტეხნიკოსი გრიგოლ ლეონიდისძე შაროშინი ვარო. აბნეული ჩვენება მიუცია: ხან უთქვამს„ ყაჩაღები დამეცნენ და გამძარცვესო“, ხან უთქვამს „მეგობრებმა დამათვრეს, ქალაქგარეთ უგრძნობლად მყოფი გამძარცვეს და მიმატოვესო“.

ამას შემდეგ შეპყრობილ შაროშინიანათ ყველანი ს. დიღომში მისულან, სადაც მისთვის დაწვრილებითი გამოკითხვა დაუწყიათ. ამ დროს სროლის ხმა გაისმა. როგორც აღმოჩნდა მზარეულიშვილს და სასხურაშვილს სოფლელებთან ერთად ძებნის დროს, კვლავ შეუმჩნევიათ დილით ნანახი სომეხი „თეთრი გიორგის გორაზე“, რომელსაც სროლა აუტეხია მათთვის რევოლვერით და იმათაც უპასუხნიათ.

კომისარ ჯაფარიძეს და გომართელს განკარგულება გაუციათ, არ მოჰკლან მხოლოდ შესაშინებლად ესროლონ, რომ ცოცხალი შეიპყრონო. სომეხს უძახდნენ მიახლოვებისას „გაჩერდი რევოლვერი გადააგდეო“; მაგრამ ის კვლავ გარბოდა რევოლვერის სროლით, ბოლოს ერთ ღელეში ჩაეფარა. აქ მდევარმა ალყა შემოარტყა. სროლა კვლავ გრძელდებოდა, ალყის წრე თანდათან ვიწროვდებოდა.. გაქცეული ხელში დაჭრილიყო, რევოლვერი გაჰფუჭებოდა და გადაეგდო.

აქ შეიპყრეს. იგი აღმოჩნდა თბილისში მცხოვრები, დაშნაკცუტუნის პარტიის ბიუროს მსახური, ამავე პარტიის წევრი. ზეინკალი მიხეილ სტეფანეს ძე კუჩარიანცი.

ფაჩულიას კითხვაზე განუცხადებია: თბილისიდან მცხეთას ამოველ, ცხვრები ვიყიდე და სხვა სანოვაგე-სურსათი, გზა ამიერია სოფელ-სოფელ და დიღომთან გამოველ, აქ თავს დამესხნენ სროლით და მეც სროლით ვუპასუხეო.

როდესაც ორივ შეპყრობილი ერთად შეახვედრეს შაროშინი უარს ამბობდა კუჩარიანცის ნაცნობობაზე, კუჩარიანცი კი ამტკიცებდა ეს ჩემი ამხანაგიაო, თბილისიდან ერთად მოვედით სანოვაგის სასყიდლადაო.

გაჩხრეკის დროს შაროშინს აღმოაჩნდა ორი მოწმობა, ერთი თბილისის გუბერნიის კომისრისა, მეორე თბილისის ქალაქის მილიციის უფროსისა, სომხური ლოცვა, 300 მანათზე მეტი ვერცხლის ფული და აგრეთვე ქაღალდის ფულიც. ქაღალდებში აღმოჩნდა ჩამოთვლილი ბათომის ლიანდაგის რამოდენიმე სადგური, 5 ძალზე გაჭუჭყული ლურჯ-ყვითლად დალაქავებული ცხვირსახოცი.

კუჩარიანცს აღმოაჩნდა: რულეტკა, სანთლის ნაჭერი, ლაქის ნაჭერი, „მაუზერი“ 18 პატრონით, ცინკის მაზი კოლოფით, ერთ გირვანქამდე ხიზილალა, 117 მ. 75 კ. ფულად, ფაფახში დამალული სომხეთა უნტერ-ოფიცრების სკოლის ანგარიში 250 მანეთის გადახდისა ცხენების დასაჭედში.

ხიდის დარაჯმა მიხეილ დურგლიშვილმა შაროშინი იცნო და განაცხადა: ორი-სამი კვირის წინად ეს კაცი ვენახე ხიდზე მიდიოდა და ხიდს ათვალიერებდაო.

**შაროშინის სახლის გაჩხრეკა.**

თბილისში (პეტროგრადის ქუჩა № 6), ექიმ ნევტონიკის ბინაზე, რომელიც მისთვის დაეთმო ნაცნობს როზანა ნიკიტას ასულ ჩალუხშიანს. შაროშინი უნახავთ უკანასკნელად 31 ღვინობისთვეს 9 საათ. საღ. მის ბინაზე აღმოაჩინეს: 1) ცინკის კოფოლი, დინამიტის ასაფეთქებელ კაპსულებით 2) ბიკფორდის მავთულის ნაჭრები ასანთ მიბმული, 3) წიგნაკი „ასაფეთქებელი სამუშაო“, სადაც აღწერილია საზოგადოდ აფეთქების საქმე და კერძოდ ხიდების აფეთქებისა, წიგნს აწერია — ალბად მისი პატრონის გვარი—„პოდპორუჩიკი მატინიანი“. 4) ნახევარ გირვანქა დასახვევი მავთული, 5) კაპიტ. სოკოლოვის ბარათი 2076 მ. მიღებისა „კაპიტან შმაგალოვისაგან“ 6) საველე ბინოკლი ბუდით, რომელსაც ჩაფენილი ჰქონდა ორი ნაჭერი ზამშისა, აფიცრის ხელთათმანის ანაჭერი. ერთ მათგანს აწერია „შმაგაილოვ“. 7) ორი წიგნი ინგლისურ ენის სახელმძღვანელო 8) კარდონის ბუდე, პატრუქები, ერთი ასანთ-გაყრი. 9) როზანა ჩალუხშიანთან შინაურული მიწერ-მოწერა.

**ჩალხუშიანის ბინაზე.**

3 გიორგობისთვეს ჩალხუშიანი ბინაზე ჩხრეკის დროს კარი მიაკაკუნეს. ვიღაც კაცმა იკითხა რუბენ ჩალხუშიანი რუსულად, ხელში ეჭირა წერილი. ჩალხუშიანის ცოლმა სომხურად უპასუხა. უცნობი გაბრუნდა და კარი მოხურა. მილიციის უფროსმა უკანვე დააბრუნა და წერილი ჩამოართვა. მომტანიც გააჩერა. წერილში სხვათა შორის ეწერა: „იქ დარჩა მატინიანის წიგნი“... „ასაფეთქებელი სამუშაო“... იქნებ მოხერხდეს ვისიმე მოსყიდვა... აკოფ კურულიანი“.

**შმაგაილოვს ჩვენება.**

საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ, თამჯდომარის წინადადებით, ლაპარაკობს პოლკოვნიკი სამხედრო ინჟინერი გ. ლ. შმაგაილოვი.

მე ვაღიარებ, რომ ხიდის აფეთქება ჩემი საქმეა. მაგრამ მე დღევანდლამდე ნამდვილ მიზეზის გამომჟღავნება არ შემეძლო, პირობით ვიყავ შებოჭვილი.

**საქართველოს წინააღმდეგი არა ვარ.**

ყოველ შემთხვევაში მე საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ[illegible]არაფერი მქონია. მე მამოქმედებდა გერმანელების სიძულვილი.

**ინგლისის მისია**

საიდუმლოების გამჟღავნება არ შემეძლო, რადგანაც სიტყვა მქონდა მიცემული ინგლისის მისიასთან, ეხლა-კი პირობები შეიცვალა და შემიძლიან ვსთქვა დაწვრილებით.

**შმაგაილოვი გროდნოში**

1911 წ. ნიკოლაევის საინჟ. აკადემიის დასრულების შემდეგ, გროდნოს ციხე-სიმაგრის საშენებლად ვიყავ მიწვეული. ყოველთვის გერმანელებთან ომის მოლოდინში ვიყავით, განსაკუთრებით ბალკანეთის ომის შემდეგ. საომრად ემზადებოდა რუსეთიც ‡ გროდნოს ციხე-სიმაგრესაც ამისათვის ვამაგრებდით. მაშინ გავეცან გერმანეთის სამხედრო მწერლობას, წავიკითხე ფონ-ბერგარდტის „წიგნი ომზე“ რევენტლკის მიერ რუსულად თარგმნილი. დავრწმუნდი, თუ რა აზრის იყო გერმანეთი რუსეთზე. ომი უნდა იყოს სასტიკი, მტრის დასაშინებლადაო, სწერდენ. აქვე გავეცან გერმანეთის საომარ სამზადისსაც.

**გერმანელების მოქმედება**

თუმცა კანონი იყო გამოცემული, რომ მხოლოდ რუსული მანქანები აგვემუშავებინა გროდნოში და სხვაგანაც, მაგრამ ნამდვილად ყველა მანქანები გერმანეთიდან მოდიოდა. გერმანეთი ჯართი მასალიდან ჩამოსხმულ მანქანებს გვაწვდიდა, რომლებიც მალე იმტვრეოდა, რის გამოც გროდნოს გამაგრება ვერ მოვასწარით. ინსბურგში, უკვე ომის დროს, გერმანელებს წყალი მოეწამლათ. ვარშავაში...

**თავმჯდომარე.** უკაცრავად, მაგრამ რა კავშირი აქვს მაგას ამ საქმესთან?!

**შმაგაილოვი.** მინდა გაგიზიაროთ, თუ როგორ თანდათანობით მომზადდა ჩემს გულში ნიადაგი გერმანელების სიძულვილისა, რადგან აქაც, ამ საქმეში, მათი მძულვარება მამოქმედებდა.

**ჯარის გახ წნა.**

ვარშავიდან გროდნამდე უკან დახევის დროს დავრწმუნდი, რომ ჩვენი ფრონტის ზურგის მხარე მთლად გამყიდველი, და მოღალატე იყო გერმანელების წყალობით. ამის გამო შემძულდა გერმანელები. ჩემში ჩვენი გამარჯვების იმედი ჩაიფერფლა.

**კავკასიისკენ.**

წინადადება მომცეს კავკასიაში გადმოსვლისა. სიამოვნებით გადმოველ. არზრუმში შემთხვევით გავეცან მოსკოველთა დეპუტაციას. მათგან შევიტყე რუსეთის სინამდვილე გერმანელების გავლენის გამო. მერე გუჩკოვიც ჩამოვიდა, გაგვაცნო რუსეთის ნამდვილი ვითარება, რომ ყველგან გამცემლობა და ღალატი იყო გამეფებული, რადგანაც გერმანელები ატრიალებდენ რუსეთის მთელს ცხოვრებას, სამხედრო მოქმედებასაც კი. კვლავ პეტროგრადში გავემგზავრე...

**რევოლიუცია.**

რევოლიუციის დაწყებამ იმედი გაგვიღვიძა. მივესალმეთ მას, მაგრამ რევოლიუციამაც გვიჩვენა უარყოფითი მხარეები... მარტის გასულს პეტროგრადში ჩემის თვალით დავრწმუნდი, ჩვენი ჯარის გახრწნასა და დაშლაში. ისევ კავკასიისაკენ წამოსვლა მირჩიეს. ჩამოვიარე მთელი რუსეთი. საშინელება იყო ყველგან.

**პირველი ხოლი.**

უკრაინაში ყველგან გერმანელების ხელი სჩანდა. პირველი ხოლი აქ იყო ჩასობილი მათგან რუსეთის სხეულის დასაქუცმაცებლად. ჩამოველ კავკასიაში.

**ქ-ნ ჩალხუშიანის გაცნობა.**

თბილისში ჩამოსვლისას პოლკოვ. ბაიაროლოვთან ერთად „ორიანტში“ ვსადილობდით ხოლმე. ერთხელ ამ სასადილოში გავეცან ქ-ნ ჩალხუშიანს.

**კვლავ პეტროგრადში.**

ივლისში ისევ პეტროგრადში გამგზავნეს, მაშინ უფრო ნათლად დავინახე გერმანელების საქმიანობ შედეგი, ქარხნების აფეთქება, ჯარის დაშლაგახრწნა, ბოლშევიკების მოღვაწეობა... ყველა ეს გერმანელების ნამოქმედარი იყო. ყველაფერი ინგრეოდა, იშლებოდა. ვცადე ამერიკელების ჯარში ჩავრიცხულიყავ, მაგრამ უარი მივიღე.

**ბოლშევიკების რევოლუცია.**

იმ ხანად პეტროგრადში ბოლშევიკების რევოლუცია დაიწყო. ამით გერმანიამ თავისი გეგმა განახორციელა რუსეთში.

**მოკავშირეთა კოლონიაში.**

კვლავ კავკასიას მოვაშურე. საფრანგეთის ასპარეზზე ვცადე წასვლა. მივმართე პოლკოვ. პაიკს, ჯერ არაფერი შემიძლიაო, მიპასუხა. გავეცანინგლის-საფრანგეთ-ამერიკელთა ახალშენს. ამ ზამთარს მითხრეს: გერმანიას ყველგან ებრძვიან, აქაც გამოსადეგი იქნებითო.

**ამიერ-კავკასიაში მოქმედება.**

მაისში ცხადი გახდა ამიერ-კავკასიის დანაწილება. საქართველოს გამოყოფა... მოკავშირეთა მისიები ტფილისიდან გავიდნენ და დამავალეს: თვალ-ყური მედევნა გერმანელების მოქმედებაზედ. უნდა მყოლოდა რაზმები მთის ბილიკებზე, ჯარის გადასაყვანი საშუალებანი და ხსვა. ამ საქმეში იყო ინჟენერი ძიუბა, პოლკოვნ. ჯუნკოვსკი და მე... მთის ოსეთის გზაც (როკისა) მე მებარა... დინამიტც ვიშოვეთ.

**კავკავში**

იმ ხანად კავკავში მომიხდა წასვლა... იქ ტერ-აბრამოვთან მიველ (ნაცნობთან), ინგლისის მისია ვიკითხე. გავეცან პაიკს. მან გეგმა მომცა მოქმედებისა: გერმანელებს საშუალება არ მისცეთ ბაქოსაკენ ან ევროპისაკენ გადასვლა-გადმოსვლისა და რისიმე გაზიდვისო.

შეკითხვაზე ბრალდებული უპასუხებს: მე შეძლება არ მაკლდა, დაქირავებული კაცი არ ვყოფილვარ, იდეისათვის ვემსახურებოდიო. პაიკმა კავკავში დამავალა ელექტრონის სადგურის შეკეთება, ბოლშევიკების შემოსვლის დროს პაიკი მოჰკლეს.

**პოლკ. სმიტი.**

მის მაგიერ პოლკ. სმიტი გამესაუბრა და დამავალა: გერმანელებს ხელი შეუშალეთ კავკასიიდან რაიმე ნედლი მასალის გაზიდვაშიო.

**ქ უ თ ა ი ს შ ი.**

კავკავიდან დავბრუნდი და ქუთაისში დავბინავდი, რადგან იქ უფრო მოსვენებით ვიქნებოდი, არავინ მიცნობდა. იქ შევკრიბე ცნობები, თუ რის გაზიდვას აპირებდნენ გერმანელები.

**თავმჯდომარე** (ბრალდებულს). აქ გავჩერდეთ. სხდომა 10 წუთით შეწყვეტილია. თქვენს სიტყვას მერე დაასრულებთ.

სხდომა შესწყდა სამის ნახევარზე.

სხდომის განახლების შემდეგ ბრალდებული შმაგაილოვი განაგრძობს:

**ინგლისელთა მისიის განკარგულება.**

მე მივიღე უტყუარი ცნობები, რომ გერმანელებმა მოსთხოვეს სასურსათო სამინისტროს მთელი რიგი სურსათის და მრავალი საქონლის გაზიდვასაც აპირებდენ საქართველოს წითელ ჯვრისაგან.

ჩემი მიზანი იყო ხელი შემეშალა მისთვის.

ამავე დროს ბერლინიდან მოვიდა ცნობა, რომ გერმანული ჯარები სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ხოლო აფეთქება ხელს შეუშლიდა მათს განზრახვას და ამით დააგვიანებდენ სტამბოლში მისვლას. თქვენ კარგათ იცით, თუ რას ნიშნავს ომში რამოდენიმე დღით დაგვიანება. ინგლისურმა მისიამ საჭიროდ სცნო გერმანული ჯარების სამშობლოში დაბრუნებისათვის ხელი შეეშალათ და მე განკარგულება მომივიდა, რომ რაც უნდა დამჯდომოდა, გზა შემეწყვიტა, თუნდაც ამით სურამის გვირაბიც-კი ამეფეთქებინა.

**ინგლისელთა მისია საქართველოს შესახებ.**

პოლკოვნიკმა სპაიკმა სთქვა, რომ ეს განზრახვა სრულებით საზიანო არ იქნება საქართველოს ინტერესებისათვის, რომლის საწინააღმდეგო მოკავშირეთ არაფერი არა აქვთ.

ამასთან ერთად ისინი საქართველოს სრულებითაც არ სთვლიდენ გერმანიის მოკავშირეთ და ძნელი წარმოსადგენიც იყო, რომ იმპერატორ ვილჰელმის გერმანია კავშირში ყოფილიყო და მფარველად მოსულიყო დემოკრატიულ საქართველოსთვის.

ეს მეგობრობა ნამდვილათაც რომ ყოფილიყო, არავის არ სჯეროდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი გაგრძელება.

მე კი, პირადათ დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მოქმედება გამოაშკარავდებოდა შემდეგში, როდესაც შეიცვლებოდა საერთაშორისო მდგომარეობა და ყველანი ნათლად დაინახავდენ ჩემს როლს ამ საქმეში.

**გამოძიება შემცდარ გზაზეა**

მაგრამ როგორს განცვიფრებაში მოვედი, როდესაც გამოძიება დაიწყო და ჩემი საქმე დაუკავშირეს სომხ-ქართველთა უთანხმოებას და მე დამსახეს სომხების აგენტათ საქართველოს წინააღმდეგ. გამოძიება ისეთს შემცდარ გზას დაადგა, რომ ყველაფერი გაუგებარი და შეუსაბამი გახდა.

მე რომ მეფიქრა, რომ ძეგვის ხიდის აფეთქების გამო, შესაძლებელი ყოფილიყო სახელმწიფოს დანგრევა, რასაკვირველია ამ საქმეს არ ჩავიდენდი და ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება დავხმარებოდი სომხებს საქართველოს წინააღმდეგ, რომელმაც თავშესაფარი მომცა და მთელს რუსეთში ერთად ერთი კუთხე ვნახე, სადაც თავისუფლათ შემეძლო მეცხოვრა.

ამიტომ პირველი კითხვა, რომელიც მე მივეცი გამომძიებელს, როდესაც პირველათ ჩვენება ჩამომართვა, იყო: გადაეცემა ჩემი საქმე გერმანელებს თუ არა; მე მხოლოთ მათი მეშინოდა, რომ საქმეს ნამდვილი განათება არ მისცემოდა და ამით მოკავშირეთა ინტერესები არ დაზარალებულიყო.

(შემდეგი იქნება)

---

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ნებართვით

**ქართული ლეგიონი**

**მოიწვევს მოხალისეებს**

**მამულიშვილნო,**

**დღეს სამშობლოს თქვენი თავი სჭირია!**

მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ დილის 10 საათიდან სალამოს 6 საათამდე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბინაზე, სასახლის ქუჩა, ქართულ თეატრის ეზოში, სადაც ყოველგვარ პირობებს შეიტყობენ. ლეგიონის სარდალი პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე.

---

ექიმი

**ივ. ვ. დემურია**

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვების.

მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს“ პირდაპირ.

---

**კერძო სამკურნალო**

**ექ. ა. დ. ალექსიძის**

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეხვიაშვილი**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ. სიფილისის. 606—914 ...ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იშხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

**ხ. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხატიძე**—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

---

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძის**

**კეკელიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

---

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**

**სამკურნალო**

**შემოსავალ ავადმყოფთათვის ექიმ ე. მ. მაჩაბელისა და დ. ჯ. ნანაძეისა**

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები** მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

---

ექიმი

**ნიკ. ი. მახვილაძე**

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ. სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6. საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.— 1536—54

---

ექიმი

**პ. ტარ. ლორთქიფანიძე**

**დაბრუნდა ბაქოდან**

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაბერეჟნის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19.

(თ.—1918).

---

**გაიხსნა**

**თვალის საავადმყოფო**

(მუდმივი საწოლებით)

**ექიმი დოხნინისა**

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

---

ექიმი

**გ. წინამძღვრიშვილი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

---

**დოქტორი მედიცინისა**

**მიხეილ ანტონის ძე**

**კალანდარიშვილი**

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

---

**რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი დოქტორი მედიცინისა**

**ბ. მერაბოვისა**

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს.

**ხაწყლებს უფასოთ.**

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამგეის შესახვევი № 1.